დანართი №3

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

წევრები:
დავით კუპატაძე
ინგა ბოჭოიძე
ირმა ღარიბაშვილი
ზაალ ხელაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341
სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

- [ ] დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)
- [x] დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 18/11/2025 წლის MES 0 25 0001635841 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, დაგვევალა მიმდინარე წლის 3, 4 და 5 დეკემბერს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება მისამართზე, ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, დაწესებულებაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და საოქმო გადაწყვეტილებას.

ვიზიტამდე ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის დაწესებულბის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2025 წლის 3,4,5 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი დაწესებულბაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №91 გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

ავტორიზაციის ექვსწლიანი ციკლის განმავლობაში აშკარაა როგორც საკუთრივ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტიის განვითარების დინამიკა, ისე დარგობრივი მიმართულებით მისი წვლილი პროფესიული კადრის მომზადებასა და განვითარებაში.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	**პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით**	**პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)**	**რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა
განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა
ენერგომენეჯმენტი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითიტექნოლოგიები	96	85	23	1
განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი	96	53	7	1
ენერგომენეჯმენტი	96	44	7	7

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

GIPA-ში დანერგილი ელექტრონული სისტემა „potral.gipa.ge“ წარმოადგენს თანამედროვე, ინტეგრირებულ ციფრულ პლატფორმას, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და დოკუმენტების სრულყოფილ, ეფექტურ და გამჭვირვალე მართვას. სისტემა აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სასწავლო პროცესების მართვის ეფექტიანობას და ხარისხს.

სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრული ციკლის მართვას: მათ შორის სტუდენტების დამატებას, მონაცემების რედაქტირებას, სტატუსების (შეჩერება/მობილობა/აღდგენა/შეწყვეტა/კვალიფიკაციის მინიჭება) კონტროლს და შესაბამისი ადმინისტრაციული ბრძანებების ასახვას. სტუდენტის პირად გვერდზე თავმოყრილია პირადი ინფორმაცია, სწავლის შედეგების ყველა მტკიცებულება, სასწავლო მასალები, ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სრულ გამჭვირვალობას.

ელექტრონული სისტემა ასევე მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მართვის ინსტრუმენტებს, მათ შორის პირადი ინფორმაციის აღრიცხვას, სასწავლო მოდულების განაწილებას, ტესტური დავალებების შექმნა-რედაქტირებას, ტესტირების პროცესის მართვას და თითოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის შეფასების შედეგების დაფიქსირებას. ინტეგრირებული შეტყობინების მექანიზმი უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე, რაც ზრდის ადმინისტრაციული და აკადემიური პროცესების კოორდინაციას.

გარდა სწავლების პროცესის მართვისა, სისტემა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და დასაქმებულ პერსონალს საშუალებას აძლევს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან, ჩამოტვირთონ ცნობა სწავლების/მათ შორის შეფასებების და მუშაობის შესახებ, ასევე მიიღონ ინფორმაცია ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

აღნიშნული პლატფორმა წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიდგომებს, პროცესების გამჭვირვალობასა და ეფექტიან ადმინისტრაციულ მენეჯმენტს, სრულად პასუხობს ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული განათლების თანამედროვე მოთხოვნებს. სისტემა – მაგალითიას იმისა, თუ როგორ შეიძლება ციფრული ინსტრუმენტები ინტეგრირდეს სასწავლო პროცესში, გაიზარდოს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა და გაუმჯობესდეს ადმინისტრაციული მართვის ეფექტიანობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ენერგომენეჯმენტი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

I სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:
1.2.1.3.

- სასურველია სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებად მითითებულ იქნას ყველა შესაბამისი დეპარტამენტი ან სამსახური, რომლის ფუნქციები და მანდატი უკავშირდება კონკრეტულ ამოცანებსა და აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს პროცესების კოორდინირებას და პასუხისმგებლობების სწორ განაწილებას.
- სასურველია სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები იყოს გაზომვადი და ეფუძნებოდეს შესაბამის რაოდენობრივ ან ხარისხობრივ კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს აქტივობების დასრულებულად განსაზღვრას, ეფექტიან მონიტორინგს და შეფასების სიზუსტის ზრდას.

<u>II სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:</u>
<u>შენიშვნა: რეკომენდაციები ვრცელდება ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე.</u>

2.4.1.1

- სასურველია პროფესიული განათლების დეპარტამენტმა შეიმუშაოს კალენდარული გეგმების შედგენის მეთოდოლოგიური მითითებები პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას, ერთობლივ სტანდარტიზაციას და ხარისხის გაუმჯობესებას.

<u>შენიშვნა: რეკომენდაციები ვრცელდება</u> პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე: „განახლებადი ენერგიების მენეჯემენტი“ და „ენერგომენეჯმენტი“
2.4.1.5

- მეტი დარგობრივი სეგმენტების დაფარვის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა: სამედიცინო, სოფლის მეურნეობის (მეღვინეობა, მეფრინველეობა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები და სხვა), ტრანსპორტი (სახმელეთო, საზღვაო, სავიაციო და სარკინიგზო), ლოგისტიკური ცენტრები და სხვა, რამდენადაც, ამ სექტორებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიიდან კლიმატის ცვლილების გამომწვევი სითბური გაზების ემისიების შემცირებაში და/ან კლიმატის ცვლილებასთან იმ სექტორების ადაპტაციაში, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

14/01/2026 წლის MES 5 26 0000019958 კორესპონდენციის საფუძველზე, ა(ა)იპ ჯიპა — საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციასთან მიმართებით, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის (რუსთავის გზატკეცილი №22ა) ტექნიკური მდგომარეობის შეფასება განხორციელდა კომპეტენტური ორგანოს მიერ. ჩატარებული ინსპექტირების საფუძველზე დადგინდა, რომ შენობა-ნაგებობა ვარგისია ექსპლუატაციისთვის და გაიცა დადებითი დასკვნა(იხ.დანართი N2). აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასება „მეტწილი შესაბამისი“ შეიცვალა შეფასებით — „შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1.კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება
1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია
1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში
1.პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2.მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4.მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

GIPA — ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი — წარმოადგენს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებული საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთ პირველ და გამორჩეულ მაგალითს, რომლის მისიაა, „თანამედროვე ცოდნის შექმნის, გადაცემისა და გამოყენების გზით აღზარდოს ახალი თაობის პროფესიონალები. დაარსების დღიდან, ჩვენ, როგორც თავისუფლების იდეალების ერთგული უნივერსიტეტი, ვამზადებთ ლიდერებს, რომლებიც მოწინავე როლს ასრულებენ დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.“
მისია მკაფიოდ ეხმიანება პროფესიული განათლების მიზნებს შემდეგი მიმართულებებით:
შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრების მომზადება *- მისია პირდაპირ უსვამს ხაზს პროფესიონალების აღზრდას, რაც პროფესიული განათლების ცენტრალური მიზანია და მოიაზრებს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას, „ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება“ მიუთითებს გამოყენებით, პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, რაც პროფესიული განათლების არსს წარმოადგენს.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პიროვნული და სამოქალაქო განვითარება - *„დემოკრატიული ღირებულებებისა და ლიდერობის ხაზგასმა“ შეესაბამება პროფესიული განათლების ამოცანას, მოამზადოს არა მხოლოდ სპეციალისტი, არამედ პასუხისმგებლიანი მოქალაქე.*

სოციალური ინკლუზია და განვითარებაზე ორიენტაცია - *„ახალი თაობის პროფესიონალების აღზრდა და საზოგადოების მშენებლობაში მათი ჩართულობა ქმნის ინკლუზიური განვითარების საფუძველს“.*

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობა - *„თავისუფლების, ლიდერობისა და დემოკრატიის ღირებულებები სრულ თანხვედრაშია ევროპული პროფესიული განათლების პოლიტიკასთან“.*

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან

საქმიანობის ძირითადი მიმართულება (პროფილი) - GIPA-ს მისია ცალსახად განსაზღვრავს, რომ დაწესებულების საქმიანობის ბირთვს წარმოადგენს თანამედროვე ცოდნის შექმნა, გადაცემა და პრაქტიკაში გამოყენება, ასევე პროფესიონალებისა და ლიდერების მომზადება. აღნიშნული მიდგომა მიუთითებს ისეთ საგანმანათლებლო პროფილზე, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო პროცესის განხორციელებით, არამედ ორიენტირებულია ცოდნის განვითარებაზე, კრიტიკული აზროვნებისა და ლიდერული უნარების ჩამოყალიბებაზე, რაც GIPA-ს მკაფიოდ გამოარჩევს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან.

დაწესებულების მახასიათებლები - მისია ხაზს უსვამს: თავისუფლების იდეალებს; დემოკრატიულ ღირებულებებს; ლიდერობის განვითარებას. აღნიშნული მახასიათებლები განსაზღვრავს GIPA-ს, როგორც ღირებულებებზე დაფუძნებულ დაწესებულებას, სადაც პროფესიული კომპეტენციების განვითარება დაკავშირებულია ეთიკურ, სამოქალაქო და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობასთან.

როლი განათლების სისტემაში - მისიის მიხედვით, GIPA ასრულებს სისტემურ როლს: ამზადებს კვალიფიციურ პროფესიონალებს ქვეყნის განვითარებისათვის; უზრუნველყოფს განათლებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის კავშირს; ხელს უწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის დასავლურ და ევროპულ მოდელებთან დაახლოებას.

განმასხვავებელი ფაქტორი სხვა პსდ-ებთან მიმართებით

GIPA-ს მისია არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით; ის უსვამს ხაზს ლიდერობის, ინიციატივისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის განვითარებას, რაც დაწესებულებას აძლევს გამორჩეულ პოზიციას პროფესიული და უმაღლესი განათლების გადაკვეთაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები, რომელიც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის როლსა და კულტურას უმაღლესი და პროფესიული განათლების სფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

GIPA-ს ხედვაა: **„ჩვენ ვამზადებთ დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების მქონე კურსდამთავრებულებს, ვადგენთ ტენდენციებს კვლევისა და განათლების სფეროში და ხელს ვუწყობთ საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას. გამორჩეული ორგანიზაციული კულტურის შენარჩუნებით, ვისწრაფვით აღვზარდოთ ლიდერები განსაკუთრებული ცოდნით და ზრდაზე ორიენტირებული აზროვნებით, რომელიც ასახავს ჩვენს მტკიცე ერთგულებას სრულყოფილებისა და უწყვეტი განვითარებისადმი."**

ხედვა მისიის გრძელვადიან პროექციას წარმოადგენს და ასახავს იმ სტრატეგიულ მიზნებს, რომლისკენაც უნივერსიტეტი ისწრაფვის — დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების მქონე კურსდამთავრებულების მომზადება, კვლევისა და განათლების სფეროში ტენდენციების ფორმირება, ორგანიზაციული კულტურის განვითარება და ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

GIPA-ს ღირებულებებია:

აკადემიური თავისუფლება - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აზრის, სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და შემოქმედებითი ინტელექტუალური გარემოს შექმნას.

კეთილსინდისიერება - ყოველი ქმედება ემყარება სამართლიანობისა და პროფესიული ეთიკის პრინციპებს, რაც ქმნის როგორც გამჭვირვალე, ასევე სამართლიან აკადემიურ და ორგანიზაციულ კულტურას.

ტოლერანტობა - უნივერსიტეტი ქმნის ინკლუზიურ და თანასწორ გარემოს ყველასთვის, სადაც ინდივიდუალიზმი დაფასებული და დაცულია.

ინოვაციურობა - სიახლისკენ მუდმივი სწრაფვა, პროგრესისა და შემოქმედების ხელშეწყობა, ახალი იდეების მხარდაჭერა და განათლების პროცესში ინოვაციური მიდგომების დანერგვა უზრუნველყოფს პროფესიულ ზრდასა და ცოდნის განახლებას.

სოციალური პასუხისმგებლობა - უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში, საზოგადოების ცალკეული საჭიროებების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ღირებულებები მისიისა და ხედვის პრაქტიკულ განხორციელებას უზრუნველყოფს და განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიურ და ეთიკურ ჩარჩოს. აკადემიური თავისუფლება, კეთილსინდისიერება, ტოლერანტობა, ინოვაციურობა და სოციალური პასუხისმგებლობა პირდაპირ გამომდინარეობს მისიის შინაარსიდან და ქმნის იმ კულტურულ და პროფესიულ გარემოს, რომელშიც შესაძლებელია მისიისა და ხედვის რეალიზება. დაწესებულების მისია წარმოადგენს იმ კონცეპტუალურ საფუძველს, რომელზეც თანმიმდევრულად და სისტემურად არის ჩამოყალიბებული მისი ხედვა და ღირებულებები.

წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი განხორციელდა გუნდურად, სამუშაო პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული უნივერსიტეტის მმართველი და აკადემიური რგოლების წარმომადგენლები, მათ შორის: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, სკოლების დეკანები, სოფლის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვლევების დეპარტამენტი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობდა უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მათ შორის სკოლებისა და დეპარტამენტების დონეზე), ხოლო სამუშაო პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა სისტემური კონსულტაციები შესაბამისი ერთეულების თანამშრომლებთან. მიღებული რეკომენდაციები და ხედვები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფის მიერ.

დოკუმენტების პროექტების შემუშავების შემდეგ ელექტრონულად გაზიარდა საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე საბოლოო სახით ჩამოყალიბდა GIPA-ს განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც წარედგინა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭოს მიერ მოწონების შემდგომ, დოკუმენტები საბოლოოდ დამტკიცდა უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, სტრატეგიულ დოკუმენტებში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობასა და საჯაროობას. პსდ-ს მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა ხდება ახალი პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ გაზიარების ფაქტი დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგებით - ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მისია;
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხედვა;
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ღირებულებები;
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2030);
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამოქმედო გეგმა (2024-2026);
- მისია, ხედვა ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მიზნით რექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუსაო ჯგუფის ოქმი მისია, ხედვა ღირებულებების და სტრატეგიული დოკუმენტების პროექტების შექმნის შესახებ;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.gipa.ge;
- პსდ-ს პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1.პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

2.სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

3.დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

უნივერსიტეტს საკუთარი მისიისა და მიზნების გათვალისწინებით შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა დაიწყო 2023 წელს. უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 1 დეკემბრის №01-23/355 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა 2018–2024 წლების სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების შეფასება და მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით ახალი, შვიდწლიანი (2024–2030) განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავება.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა უნივერსიტეტის ყველა ძირითადი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებით, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია უნივერსიტეტის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებასთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა განხორციელდა ოთხ ეტაპად:

პირველ ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა გააანალიზა 2018–2024 წლებში უნივერსიტეტის მიერ მიღწეული შედეგები, ამ პერიოდში ჩატარებული კვლევები, ასევე უმაღლესი და პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. ამავე ეტაპზე შეფასდა საქართველოში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგიონსა და საერთაშორისო დონეზე განათლების სფეროში მიმდინარე ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები.

მეორე ეტაპზე განხორციელდა სიტუაციური ანალიზი SWOT მეთოდოლოგიის გამოყენებით. აღნიშნული პროცესის ფარგლებში უნივერსიტეტის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს დაევალა შესაბამისი მიმართულებით უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ხედვის წარმოდგენა.

მესამე ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა მოახდინა პირველ და მეორე ეტაპებზე დაგროვილი მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი, რის შედეგადაც გამოიკვეთა უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და მათი მიღწევისთვის აუცილებელი ამოცანები.

მეოთხე ეტაპზე განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტი წარედგინა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელმაც განიხილა და მოიწონა წარმოდგენილი დოკუმენტი და დასამტკიცებლად წარუდგინა უნივერსიტეტის რექტორს.

სიტუაციური ანალიზის ფარგლებში შეფასდა უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რაც სამუშაო ჯგუფის მიერ შეგროვებულ მონაცემებსა და ჩართულ პირთა პოზიციებზე დაყრდნობით განსაზღვრავს 2024–2030 წლების განვითარების სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

არსებული მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზის შედეგად განისაზღვრა უნივერსიტეტის განვითარების ხუთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება, რომლებიც 2024–2030 წლებში GIPA-ს პრიორიტეტად რჩება და წარმოადგენს 2018–2024 წლების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების ლოგიკურ გაგრძელებას:

- საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ინტერნაციონალიზაცია;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
- ინსტიტუციური განვითარება;
- პროფესიული განათლება.

განვითარების სტრატეგიული გეგმა ასევე მოიცავს მონიტორინგის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სისტემურ მონიტორინგს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ სტრატეგიული დაგეგმვისას უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისა ჩართვასა და მათი მოლოდინების, მ.შ. ქვეყნის/რეგიონული/თემის პრიორიტეტების გათვალისწინებას.

განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა განხორციელდა თანამონაწილეობითი მიდგომით და მასში ჩართული იყვნენ არა მხოლოდ რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის წევრები, არამედ საჭიროებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებიც. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფდა პროცესის ინკლუზიურობასა და მრავალმხრივობას.

განვითარების სტრატეგიული გეგმა ეფუძნება 2018–2024 წლების უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული შედეგების შესრულების მაჩვენებლების ანალიზს. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დაინტერესებულ მხარეებთან გამართული ფოკუს-ჯგუფების დასკვნები, როგორც კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების, ისე უნივერსიტეტის მასშტაბით განხორციელებული კვლევების ფარგლებში.

დამატებით, გამოყენებულ იქნა უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ჩატარებული კვლევების შედეგები, რომლებიც ასახავდა საქართველოში განათლების სფეროში არსებულ ზოგად და კონკრეტული მიმართულებებით სპეციფიკურ ვითარებას, რაც მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს

აღსანიშნავია, რომ განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის პროცესში სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა 2024–2026 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს განვითარების სტრატეგიული გეგმის პრაქტიკული რეალიზაციის ინსტრუმენტს. სამოქმედო გეგმა არის რეალისტური, დროში გაწერილი და უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური, ტექნიკური, ადამიანური და სხვა მხარდამჭერი რესურსებით. დაწესებულების პროფესიული განათლება GIPA-ს შვიდწლიან სტრატეგიულ განვითარების გეგმაში განსაზღვრულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად. უნივერსიტეტს მრავალი წელია მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში როგორც ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის, ისე დემოკრატიული ღირებულებების ყოველდღიურ საქმიანობაში ინტეგრირების თვალსაზრისით. ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებისა და განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი საქმიანობას წარმართავს ეროვნული პრიორიტეტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

GIPA ერთ-ერთი პირველი კერძო უნივერსიტეტია, რომელმაც აკადემიურ პროგრამებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და ამით ხელი შეუწყო პროფესიული განათლების გაძლიერებას, როგორც ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილია როგორც არსებული პროგრამების განვითარება და დახვეწა, ასევე ახალი მიმართულებების დამატება, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს განვითარებას.

მიზანი 5.1 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და არსებულების განვითარება

ამოცანები:

5.1.1 არსებული პროფესიული საგანმანათლებლო (გრძელვადიანი) პროგრამების განვითარება;

5.1.2 შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული საკვალიფიკაციო (გრძელვადიანი) პროგრამების დამატება;

5.1.3 ინოვაციური, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული საკვალიფიკაციო პროგრამების დანერგვა;

5.1.4 მომზადება-გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

5.1.5 ინტეგრირებული და დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

მიზანი 5.2 პროფესიული განათლების მიმართულებით სტრუქტურული განვითარება

ამოცანები:

5.2.1 პროფესიული განათლების მიმართულებით მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განვითარება;

5.2.2 პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური რესურსების განვითარება;

5.2.3 პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის გაფართოება და ახალი პრაქტიკის ობიექტების ჩართვა;

5.2.4 საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და საგრანტო/ფინანსური ფონდების მოძიება.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობა წარმოდგენილია შესრულების ინდიკატორების გათვალისწინებით, ამასთან, ხაზგასასმელია, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები სრულად შეესაბამება განვითარების სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად ამჟამად მითითებულია მხოლოდ **„სოფლის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი“**. ინსტიტუციური კოორდინაციის განმტკიცებისა და საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია, რომ პასუხისმგებელ სუბიექტებად განსაზღვრულ იქნას ასევე ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომლის ფუნქციები და მანდატი დებულებებითა და სამუშაო აღწერილობებით უკავშირდება შესაბამის ამოცანებსა და აქტივობებს.

წარმოდგენილი ანგარიშებისა და გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა შეესაბამება მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების სწორად განაწილებას, პროცესის კოორდინირებულ მიმდინარეობას და შედეგების მაღალ ხარისხს.

შესაბამისად დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სასურველია, სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებად მითითებული იყოს ყველა შესაბამისი დეპარტამენტი ან სამსახური, რომელთა ფუნქციები და მანდატი უშუალოდ უკავშირდება განსაზღვრულ ამოცანებსა და დაგეგმილ აქტივობებს.“

ასევე დაწესებულების სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული შესრულების ინდიკატორებს, ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია შემდეგი ფორმულირებით: მაგალითად, აქტივობის **5.1.1.3 – პროგრამის პოპულარიზაციის კამპანია -** შესრულების ინდიკატორად განსაზღვრულია **„კვლევის ჩატარება“; აქტივობის 5.2.1.1 – უმაღლესი პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო აღჭურვილობის განახლება** - შესრულების ინდიკატორია **„განახლებული სასწავლო გარემო (C გარემო)“; აქტივობის 5.2.5.3 – ახალი პრაქტიკის ობიექტების დამატება** შესრულების ინდიკატორად განსაზღვრულია **„პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა“**. შესრულების ინდიკატორები უნდა უზრუნველყოფდნენ აქტივობების შედეგების ობიექტურ შეფასებას, პროცესების ეფექტიან მართვასა და ანგარიშვალდებულების დაცვას.

შესაბამისად დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია:

სასურველია სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები იყოს გაზომვადი და ეფუძნებოდეს შესაბამის რაოდენობრივ ან ხარისხობრივ კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს აქტივობების დასრულებულად განსაზღვრას, ეფექტიან მონიტორინგს და შეფასების სიზუსტის ზრდას.

წარმოდგენილი დოკუმენტების, ფაქტობრივი გარემოებების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება **ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2030);
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამოქმედო გეგმა (2024-2026);
- რექტორის ბრძანებები სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ, სამუშაო ჯგუფების მუშაობის ამსახველი ოქმები;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშები (2018-2024წწ);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.gipa.ge
- პსდ-ს პერსონალის გასაუბრების შედეგები

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1.პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

2.პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში უნივერსიტეტი ინარჩუნებს მოქმედ პრაქტიკას, რომელიც ითვალისწინებს GIPA-ს მიერ შესრულების ყოველწლიური თვითშეფასების განხორციელებას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანობა დასტურდება 2018–2024 წლების სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიშებით, რომელთა საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში ხორციელდებოდა შესაბამისი კორექტირებები.

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი. მის შემადგენლობაში შედიან სკოლების დეკანები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, სოფლის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე სხვა პირები, რექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული ჯგუფი ვალდებულია, მონიტორინგი აწარმოოს სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების, მათი შესრულების ვადებისა და კონკრეტული შედეგების შესახებ. მონიტორინგის ჯგუფი ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.მონიტორინგის ჯგუფი პასუხისმგებელია გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ვადებისა და მიღწეული შედეგების სისტემურ მონიტორინგზე.

ჯგუფის რეკომენდაციებისა და წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე უნივერსიტეტის მმართველი ორგანოები უფლებამოსილნი არიან, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანონ ცვლილებები როგორც სამოქმედო, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმებში.

დოკუმენტაციის (მათ შორის მონიტორინგის ჯგუფის სხდომების ოქმების) შესწავლისა და პასუხისმგებელ და დაინტერესებულ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი – ყოველწლიურად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ სათანადოდ რეაგირებს, როგორც შიდა, ისე გარე შეფასების შედეგებზე.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფი ყოველწლიურად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შეფასებას როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ინდიკატორების მიხედვით. შეფასების პროცესში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მიმართულებების არსებობის შემთხვევაში, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს განესაზღვრებათ რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებით იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სამოქმედო გეგმის კორექტირება.

აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში დანერგილია სტრატეგიული განვითარების (მათ შორის სამოქმედო გეგმის) მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიანი და ფუნქციონირებადი მექანიზმი. განხორციელებულია 2018, 2019, 2020, 2021, 2022, 2023 და 2024 წლების სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი.

მონიტორინგის მიზანია სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ხარისხის შეფასება (მაღალი, საშუალო, დაბალი), საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებისა და გაუმჯობესების გეგმის განსაზღვრა და ინდიკატორების შესრულების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება. სამიზნე მაჩვენებლების შესრულების ხარისხი განისაზღვრება პროცენტული დიაპაზონებით და აღინიშნება ფერების გამოყენებით:

- 0–<40% — დაბალი შესრულება (წითელი);
- 40–<70% — საშუალო შესრულება (ყვითელი);
- 70–<100% — მაღალი შესრულება (მწვანე).

ინდიკატორების შესრულების ხარისხი ასახულია შესაბამისი სტრატეგიული მიზნების მიხედვით და მიბმულია იმ სტრუქტურულ ერთეულებზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონკრეტული მიზნების შესრულებაზე.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია

სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური შედეგები ხელმისაწვდომია ანგარიშის სახით ვებგვერდზე. შესაბამისად, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ვებგვერდზე განთავსებულია 2018, 2019, 2020, 2021, 2022, 2023, 2024, 2025 წლების წლიური ანგარიშები. ამასთან, დაწესებულება მართავს შეხვედრებს შიდა დაინტერსებულ მხარეებთან (პერსონალი, პარტნიორები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები) ანგარიშების/მიღწეული შედეგების გაზიარების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2030);
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამოქმედო გეგმა (2024-2026);
- რექტორის ბრძანებები სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ, სამუშაო ჯგუფების მუშაობის ამსახველი ოქმები;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშები (2018-2024);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.gipa.ge
- პერსონალის გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტით ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული ყველა პირი.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“ განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gipa.ge) და ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო პროცესში ჩართული ნებისმიერი პირისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობასა და საჯაროობას.

პროფესიული სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ზედამხედველობასა და დაცვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში განიხილავსპროფესიულ სტუდენტთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს როგორც პროგრამის კოორდინატორის, ისე თავად პროფესიული სტუდენტის მიმართვის საფუძველზე.

პროფესიული სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში“ და ასახულია პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, რაც უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და ვალდებულებების მკაფიო რეგლამენტაციას.

ზემოაღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის შეწყვეტის, შიდა მობილობის, მიღებული განათლების აღიარების მტკიცებულებები და განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებებთან. დაწესებულება იცავს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ პროცედურებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2. პსდ-ში პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

დაწესებულება სწავლის დაწყებამდე პროფესიული სტუდენტებისთვის აწყობს გაცნობითი სახის შეხვედრებს, სადაც განიხილება პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, არსებულ პროფესიულ სტუდენტთა სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
ინსტიტუციურ დონეზე, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. ცენტრი აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტის პერსონალის ჩართულობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროცესში მონაწილეობენ პროფესიული სტუდენტები, რომლებიც ინიცირებით ახდენენ საკუთარი საჭიროებებისა და ინტერესების გამოვლენას.

2023 წლიდან უნივერსიტეტში დანერგილია სტუდენტთა მხრიდან მუდმივმოქმედი ანონიმური უკუკავშირის მექანიზმი, ინტეგრირებული portal.gipa.ge -ზე. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებების შესაძლო დარღვევის გამოვლენასა და დროულ/ეფექტურ რეაგირებას. უკუკავშირის ფორმა უზრუნველყოფს ანონიმურობას და სტუდენტის იდენტიფიკაცია არ ხდება. მიღებული ინფორმაცია განიხილება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში, რომელიც ახდენს შესაბამის რეაგირებას.

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვას სასწავლო და ადმინისტრაციული სერვისების შესახებ, მათ შორის ფოკუსირება ხდება სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზეც. 2025 წლის კვლევის შედეგებით, გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა 91.6% მიიჩნევს, რომ GIPA-ში მათი კანონიერი უფლებები და ინტერესები დაცულია.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, რითაც დასტურდება საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი.

ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ და სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რასაც კანონმდებლობა და დაწესებულება აძლევთ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისადაა შედგენილი და გაფორმებული. მათ შორს წარმოდგენილია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც დაცულია კანონმდებლობის მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. გასაჩივრების მიზნით, სტუდენტი უფლებამოსილია დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართოს სოფლის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

საკითხის განხილვის მიზნით, დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, საჩივრის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებელს ან დარგის სხვა ექსპერტს, რომელიც ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში საფუძვლიანად შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს სტუდენტის სწავლების შედეგების (თეორიული და პრაქტიკული) შეფასების მტკიცებულებები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პირი ახორციელებს განმეორებით შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებს შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორების მიერ. დამატებით, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობისა და უფლებების ცნობიერების ამაღლებას.

განმეორებითი შეფასების პრაქტიკა დაწესებულებაში არსებობს, რაც განპირობებულია შეფასების დღეს პროფესიულ სტუდენტთა არგამოცხადებით ან უარყოფითი შეფასებით. აღნიშნული დასტურდება შეფასების უწყისებით, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურებით.

ზემოაღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელების ფაქტი ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემის გასაჩივრების ფაქტს, თუმცა გასაჩივრების საჭიროება არ დამდგარა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა

ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეისწავლა დაწესებულებაში სხვადასხვა დროს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. განხილულ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. დადასტურდა, რომ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის განსაზღვრულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა და მათი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის აუცილებლობა ხელშეკრულების დადების პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულებაში დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის (ისგ) შემუშავების წესი, რომელიც განსაზღვრავს ისგ-ის შემუშავების საფუძვლებს (მობილობა, სტატუსის აღდგენა, შშმპ სტატუსი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება). პროცედურა ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას და მათი ინტერესების დაცვას. წესის თანახმად შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირთა ჩართულობით, შექმნილი კომისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მის მოდიფიცირებას ან აკომოდაციას. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სსსმ და შშმ სტუდენტი არ ყოლია, შესაბამისად არ დამდგარა მოდულის მოდიფიკაციის ან აკომოდაციის ფაქტი, არსებული რეგულაცია ქმნის საფუძველს/მოლოდინს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება შეძლებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება-განხორციელებას პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით.
უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკა ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც არიან სტატუსაღდგენილები, მობილობით გადმოსულები. შედგენილი გეგმები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ინდივიდუალურ მორგებას სტუდენტის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ა(ა)იპ ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულება;
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეწყვეტის და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- ანგარიშები და სხვა დოკუმენტები განხორციელებული სტუდენტური აქტივობების შესახებ;
- პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშები;
- სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასების ანალიზი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2.პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1.პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება
1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

უნივერსიტეტი სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. პროფესიული განათლების მასწავლებლები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, განსაზღვრავენ სასწავლო საათების მიღმა პერიოდს, რომლის განმავლობაში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დამატებითი კონსულტაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.
ყოველ სასწავლო პროგრამაში პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერას განახორციელებს პროგრამის კოორდინატორი, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სტუდენტთა კონსულტირებაში, მათ შორის ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით.
უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას არსებული სერვისების გამოყენების შესახებ. 2025 წლის კვლევის შედეგებით, სტუდენტთა 85.5% სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება, რომ კოორდინატორი უზრუნველყოფს სათანადო კონსულტაციას, რაც ხაზს უსვამს სერვისით სტუდენტთა კმაყოფილებას და უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს არსებობას. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს აქვს ინფორმაცია სათანადო კონსულტაციისა და აკადემიური მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად;

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება რომ ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

ყველა სასწავლო წლის დასაწყისში, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი ორგანიზებას უწევს საორიენტაციო/გაცნობით შეხვედრებს ახალ ჩარიცხულ სტუდენტებისთვის, მათ შორის პროფესიულ პროგრამებზე. შეხვედრების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს აცნობენ:

- უნივერსიტეტის გარემოსა და სასწავლო პროცესს;
- პროფესიულ სტუდენტთა და უნივერსიტეტის უფლებებსა და ვალდებულებებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსს;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებსა და სხვა შიდა დოკუმენტებს;
- სასწავლო გარემოს რესურსებსა და ელექტრონული პორტალის გამოყენებას;
- ხელმისაწვდომ სერვისებსა და მხარდაჭერას.

პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და შეხვედრების ჩატარება დასტურდება როგორც შეხვედრების ამსახველი დოკუმენტებით, ასევე კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებით.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას

ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, საჭიროების მიხედვით მიმართოს პროგრამის კოორდინატორს ადმინისტრაციული მხარდაჭერის მიზნით. კოორდინატორი უზრუნველყოფს შესაბამის მხარდაჭერას გონივრულ ვადაში. შესაბამის შემთხვევებში ადმინისტრაციული მხარდაჭერა შესაძლებელია გაეწიოს სხვა ადმინისტრაციულ პერსონალსაც (კომპეტენციის შესაბამისად) და სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის წარმომადგენელს.

კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სხვადასხვა მომსახურების გაწევისას (ცნობის, დიპლომის გაცემას, შიდა და გარე მობილობის ხელშეწყობას, და სხვა) უზრუნველყოფს გონივრულ ვადებში ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც ასევე გაწერილია დაწესებულების „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში. მომსახურების გაწევის/მხარდაჭერის მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

GIPA უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს, ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებას და ჩართულობას. უნივერსიტეტში მიღებული პრაქტიკაა მოწვეული სტუმრების (guest speaker) სერია, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს:

- აწარმოონ კომუნიკაცია საჯარო, კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ესაუბრონ დარგის ექსპერტებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს შრომის ბაზრის გამოწვევებსა და აქტუალურ საკითხებზე;
- დასვან კითხვები და ჩაერთონ დისკუსიაში;
- გამოავლინონ საკუთარი პროფესიონალური პოტენციალი.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პრაქტიკა პანდემიის დროსაც გაგრძელდა დისტანციური შეხვედრების ფორმატში. მოწვეულ სტუმრებს შორის არიან უცხოელი პროფესორები, დიპლომატები და ექსპერტები; გამორჩეულია ელჩებთან შეხვედრების სერია, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს პირდაპირ კომუნიკაციაში შესვლასა და ინფორმაცია მიიღონ საქართველოში მოქმედი საელჩოების ხელმძღვანელებისგან.

სტუდენტთა მრავალფეროვანი ჩართულობის მიზნით, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი უზრუნველყოფს:

- შემეცნებით, სპორტულ, კულტურულ და ექსტრაკურიკულარულ აქტივობებში მონაწილეობის მხარდაჭერას;
- ყოველწლიურ სტუდენტურ დოკუმენტურ ფილმების ფესტივალ GIPA DocU, რომელიც 2011 წლიდან ტარდება და ითვალისწინებს პროფესიული ჟიურის შეფასებას;
- კინოკლუბისა და თეატრალური დასის საქმიანობას, მონაწილეობას სხვადასხვა ფესტივალებში და საერთაშორისო გამოსვლებს;
- სპორტულ აქტივობებს, მათ შორის ფუტსალის კლუბსა და ქართული ცეკვის ანსამბლს, რომელიც ახორციელებს საკონცერტო ტურნეებს და იღებს სხვადასხვა პრიზებს;
- სხვადასხვა სტუდენტურ კლუბებს გარემოს დაცვის, მოდის, ისტორიის, საჯარო გამოსვლების და სხვა მიმართულებებით;
- ჭადრაკის ტურნირებს;
- ინტელექტუალურ თამაშებს რა? სად? როდის?
- და სხვა

ამგვარად, უნივერსიტეტი ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ჩართულობას, ცოდნის გაზიარებას, სოციალური და კულტურული განვითარების ხელშეწყობას. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, ადასტურებენ კურსდამთავრებულებიც. განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა წარმოდგენილია დაწესებულების ვებ და სოციალური გვერდებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდებაინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომლის მიხედვითაც ტარდება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების, მიწოდებული სერვისების, მომსახურების, კმაყოფილების კვლევა, რომელიც ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ელექტრონული კითხვარების საშუალებით. კითხვარებიდან მიღებული უკუკავშირის შედეგად ხდება მონაცემების დამუშავება და იმ კონკრეტულ მიმართულებებში გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა; ელექტრონულ გამოკითხვასთან პარალელურად ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ასევე შეხვედრები სტუდენტებთან/ფოკუს ჯგუფებთან დაწესებულების პროცესების/მომსახურების შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურვილებს დაწესებულება ითვალისწინებს და რეაგირებს სათანადოდ, რის თაობაზეც დასახელდა არაერთი აქტივობა.

წარმოდგენილი დოკუმენტების, სტუდენტების , კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულება;
- ანგარიშები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ასახავს განხორციელებულ სტუდენტურ აქტივობებს;
- სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასების ანალიზი;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსისა და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების ანგარიში;
- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია
- დაწესებულების ვებ და სოციალური გვერდები
- პერსონალისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის

GIPA-ს პროფესიული განათლების მოდელი ცხადყოფს წარმატებულ პრაქტიკას პროფესიული სტუდენტების დასაქმებისა და პროფესიული მზაობის უზრუნველყოფის მიმართულებით. პროფესიული სტუდენტები სხვადასხვა პოზიციებზე ასაქმდებიან მათი რეკომენდაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს დასაქმების ფორუმებს, რომელშიც მონაწილეობენ უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები სხვადასხვა სექტორიდან. აღნიშნული ფორუმები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პირდაპირ კონტაქტს დამსაქმებლებთან და მათ მიერ შეთავაზებულ სამუშაო ადგილებს.

2024 წლის დასაქმების ფორუმზე მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა დამსაქმებელმა ორგანიზაციამ, რაც მიუთითებს დამსაქმებელთა მაღალი დაინტერესების მაჩვენებელზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული პროფესიული სტუდენტებისთვის

2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სტუდენტების, მათ შორის პროფესიული სტუდენტების, კარიერული მხარდაჭერა, რაც მოიცავს მათ დასაქმებისა და სტაჟირების შესაძლებლობების ხელშეწყობას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორებთან, საიდანაც იღებს ინფორმაციას ვაკანსიებისა და სხვა დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ამ მიმართულებით GIPA-ს ამჟამად მოქმედი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომლებშიც გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებისა და სტაჟირების კომპონენტი, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების პროცესს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციასთან, რის საფუძველზეც შექმნილია დამსაქმებელთა ბაზა. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, ცენტრი სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს უზიარებს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებზე ელექტრონული პორტალის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების აქტიურ ჩართულობას და კარიერული განვითარების ხელშეწყობას.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კურსდამთავრებულთა ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულების შესახებ. ბაზა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასიფიცირებულია საგანმანათლებლო პროგრამებისა და დამთავრების წლების მიხედვით. იგი მოიცავს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა მიმდინარე სამუშაო ადგილის, პოზიციის, დასაქმების საფეხურის, დასაქმების სფეროს, ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესახებ.

კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების მონიტორინგის მიზნით, ბაზა პერიოდულად განახლდება. აღსანიშნავია, რომ 2025 წელს განხორციელდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომლის შედეგებითაც ბოლო 5 წლის განმავლობაში GIPA-ს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის კურსდამთავრებულთა 86.8% დასაქმებულია. აღნიშნულ დასაქმებულთა 87% მუშაობს სწორედ უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციაზე.

განახლებადი ენერგიების მენეჯმენტისა და ენერგომენეჯმენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამ ეტაპზე ჯერ არ ჰყავთ კურსდამთავრებულები, შესაბამისად, აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა მომავალში დაიწყება.

პროფესიული სტუდენტების დასაქმების კვლევის მიხედვით, 2025 წელს გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა 62.5% დასაქმებულია, ხოლო დასაქმებულთა 65% საქმიანობს თავიანთი პროფესიის შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

2025 წლის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა მიერ გამოთქმული უკუკავშირის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი გეგმავს გააძლიეროს მუშაობა ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის უფრო სტრუქტურირებული მართვისა და კონკრეტული სტუდენტური სამიზნე ჯგუფებისათვის მიზნობრივი მიწოდების მიმართულებით.

დაწესებულების პერსონალი აქტიურად არის ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების გადამუშავების პროცესში. პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია და რეკომენდაციები გადაეცა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სამუშაო ჯგუფს, რის საფუძველზეც მიმდინარეობს აღნიშნული სტანდარტის განახლების პროცესი.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ჩატარებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის ანალიზი;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა;
- პროფესიული სტუდენტთა დასაქმების კვლევა;
- პსდ-ს პერსონალსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. **ადამიანური რესურსები**

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1.პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2.პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

GIPA-ს განვითარებისა და სასწავლო საქმიანობის ეფექტური განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით (რექტორის 2018 წლის 27 მარტის N 01-18/52 ბრძანება). სტრუქტურა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების სამართლებრივად გამყარებულ, კოორდინირებულ და ეფექტურ მუშაობას.

საერთო საუნივერსიტეტო სტრუქტურაში გათვალისწინებულია სოფლის **მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი,** რომელიც მცირე მასშტაბისაა და საჭირო ადმინისტრაციულ პერსონალზეა დაფუძნებული. დეპარტამენტში შედის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, პროგრამის კოორდინატორი, სტუდენტური კოორდინატორები, პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ემისის ბაზის მართვის მენეჯერი. დანარჩენი სამსახურები, როგორიცაა: საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების სამსახური, ფინანსური სამსახური, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, შრომის უსაფრთხოების სამსახური, ლოჯისტიკის სამსახური, ბიბლიოთეკა, იურიდიული სამსახური და სხვა, უზრუნველყოფენ როგორც უნივერსიტეტის საერთო ფუნქციონირებას, ასევე პროფესიული პროგრამების განხორციელების მხარდაჭერას. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ პროფესიული სწავლების პროცესის უწყვეტობას, ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა და ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების სრულყოფილ დაცვას, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის და პროფესიული პროგრამების ერთიან, კოორდინირებულ და ეფექტურ მართვას.

თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული და გამიჯნული, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობებში ნაჩვენებია მათი ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული პრაქტიკა გამორიცხავს ფუნქციათა დუბლირებას და უზრუნველყოფს საქმიანობის კოორდინირებულ, ეფექტურ განხორციელებას დაწესებულების მიერ დასახულ მისიის, ხედვისა და სტრატეგიული ამოცანების/მიზნების შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების გარდა, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობებით დაზუსტებულია მათი მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის კოორდინირებულ და ეფექტურ განხორციელებას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას.

წარმოდგენილ პერსონალის სამუშაო აღწერილობებს აქვს დოკუმენტთან გაცნობის დამადასტურებელი ხელმოწერები, ხელშეკრულების პუნქტები მოიცავს დათქმას, რომ სამუშაო აღწერილობები მისი განუყოფელი ნაწილია. პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ იცნობენ დოკუმენტით განსაზღვრულ და დაკისრებულ მოვალეობებს.

საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული სამუშაოს აღწერილობების მიხედვით პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობების გადანაწილება არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულებაში პერსონალისათვის დელეგირებულ ფუნქციებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს და პასუხისმგებელია პროფესიული პროგრამების სწავლების ხარისხის მართვაზე, პროგრამების შეფასებაზე და შესაბამის კვლევებზე. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები პროფესიული განათლების მიმართულებით არ ითავსებენ სხვა ფუნქციებს, მათ შორის პედაგოგიურ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებში შედის უნივერსიტეტის ფუნდამენტური პროცესების მართვა და კონტროლი, ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესების ორგანიზება, შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების ხელმძღვანელობა, სწავლა–სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწა-განვითარება, ხარისხის გარე და შიდა შემოწმების ეფექტური მექანიზმების დანერგვა და დაინტერესებული მხარეების კვლევა. სამსახური აქტიურად არის ჩართული პერსონალთან ერთად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, მათი შესრულების მონიტორინგსა და ანგარიშების მომზადებაში.

პერსონალთან განხორციელებული გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ პსდ-ს პროცესების მართვისას ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ფუნქციები მკაფიოდ გამიჯნულია, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს პროცესების ობიექტურობას, დამოუკიდებლობასა და ხარისხის მართვის ეფექტიანობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- GIPA – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის განვითარების სამოქმედო გეგმა;
- GIPA – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულება;
- GIPA – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტრუქტურა;
- უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო აღწერილობები.
- ხარისხის სამსახურის გეგმა;
- პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

GIPA-ში შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელ აქტებთან, მათ შორის უნივერსიტეტის შინაგანაწესთან, ერთად უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების ეფექტიან, სისტემურ და გამჭვირვალე მართვას. აღნიშნული დოკუმენტები ურთიერთდაკავშირებულად არეგულირებს ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და დამხმარე პერსონალის შერჩევის, შესაბამის პოზიციაზე დანიშვნის, პროფესიული განვითარების, წახალისების, საქმიანობის შეფასებისა და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

უნივერსიტეტის შინაგანაწესით დამატებით დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა; დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით; უნივერსიტეტის პერსონალის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ხელშეწყობა; სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება და სხვა ორგანიზაციული საკითხები. აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი სრულყოფილად მოიცავს თანამშრომელთა შერჩევის, სამსახურში მიღებისა და საქმიანობის განხორციელების მთელ ციკლს და უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების სტანდარტიზაციას, თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში პოლიტიკა კონკრეტულად განსაზღვრავს თანამშრომელთა შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცედურებს, აგრეთვე თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების მიმართ გამოყენებულ მიდგომებს, რაც შესაბამისობაშია დაწესებულების შიდა რეგულაციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის სამსახურში აყვანის შემდეგ ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები. თითოეული თანამშრომლის პირად საქმეში სრულად არის წარმოდგენილი კანონმდებლობითა და დაწესებულების რეგულაციებით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს ადამიანური რესურსების მართვის პროცესების სათანადო ადმინისტრირებასა და დოკუმენტურ უზრუნველყოფას.

პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებებისა და პირადი საქმეების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები პრაქტიკაში ხორციელდება შინაგანაწესის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო პერსონალი სრულად არის ინფორმირებული დოკუმენტით დადგენილი წესებისა და ვალდებულებების შესახებ. შრომითი ხელშეკრულების თანახმად, შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ხოლო დასაქმებული მისი შინაარსის გაცნობას ადასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.
პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (შინაგანაწესი, პერსონალის მართვის პოლიტიკა, პროფესიული მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევის წესი) ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, განთავსებული დაწესებულების ვებგვერდზე. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია პერსონალთან დოკუმენტების გაცნობის დამადასტურებელი დოკუმეტები.

პერსონალთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს არსებით პირობებს, მათ შორის განსაზღვრულია ზეგანაკვეთურად მუშაობის ანაზღაურების საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ექსპერტების მიერ დამატებით განხორციელდა შვებულების გაცემის, მივლინებების ორგანიზებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ქეისების გადამოწმება. დოკუმენტური მასალებისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება აღნიშნულ პროცესებს ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული მოთხოვნების სრული დაცვით, რაც ადასტურებს შრომითი ურთიერთობების მართვის კანონიერებასა და სათანადო ადმინისტრირებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალის დანიშვნა ხორციელდება პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად. პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შერჩევის მკაფიო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ სამუშაო აღწერილობებში განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციებისთვის, ხოლო პერსონალის შერჩევა და დასაქმება ხორციელდება აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით. თითოეული დასაქმებული პირის პირად საქმეში განთავსებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს შერჩევის პროცესის სათანადო ადმინისტრირებას.

უნივერსიტეტში პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ვაკანტური პოზიციის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემდეგი ფორმებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღია კონკურსის საფუძველზე – შესაბამისი ვაკანტური პოზიციის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების გზით. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

დახურული კონკურსის საფუძველზე – ვაკანტური პოზიციის შესახებ ინფორმაციის უნივერსიტეტის შიდა საკომუნიკაციო არხებით გავრცელების გზით, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისთვის ან წინასწარ განსაზღვრული პირთა წრისთვის, მათ შორის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის.

რეკომენდაციის საფუძველზე – ადმინისტრაციული, მოწვეული ან დამხმარე პერსონალის პოზიციაზე დასაქმება შესაძლებელია კონკურსის გარეშე, უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველზე, დაწესებულების შიდა რეგულაციების დაცვით.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული წესების შესაბამისად და დეტალურად არის გაწერილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. კანდიდატის შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისობას დასაკავებელი პოზიციისთვის განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვასა და შენარჩუნებას, პერსონალის საჭიროებებზე მორგებულ პროფესიულ განვითარებასა და ფუნქცია-მოვალეობების ისეთ განაწილებას, რომელიც ეფექტიანად უწყობს ხელს უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

უნივერსიტეტში თითოეული პოზიციისთვის შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო აღწერილობა, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის განათლების დონე, პროფესიული გამოცდილება, უცხო ენის ცოდნა და სხვა აუცილებელი კომპეტენციები. აღნიშნული მიდგომა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო მიმართულებით უზრუნველყოფს კვალიფიციური ადამიანური რესურსის შერჩევას და მათ მიერ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიან შესრულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა ადმინისტრაციული პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. დოკუმენტური ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, რომ დასაქმებული პერსონალი სრულად შეესაბამება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ფლობს შესაბამის პროფესიულ კომპეტენციებს. პერსონალის პირადი საქმეები დაკომპლექტებულია დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და სრულყოფილად მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის ნასამართლეობის არარსებობის დამადასტურებელ ცნობებს, რაც ადასტურებს დაწესებულების მხრიდან სამართლებრივი მოთხოვნების სრულ დაცვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით მართვის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ყოველკვირეულად ტარდება ადმინისტრაციული შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობენ ყველა სკოლისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელები. შეხვედრებს უძღვება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მათ ფარგლებში განიხილება მიმდინარე საორგანიზაციო საკითხები, ასევე ის მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს კოლეგიურ განხილვასა და გუნდურ გადაწყვეტილებას.

გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური პერიოდულად ორგანიზებას უწევს გაერთიანებულ ადმინისტრაციულ შეხვედრებს (Staff Meeting), რომელშიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ყველა რგოლის თანამშრომელი. აღნიშნულ შეხვედრებზე განიხილება უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, ხოლო თითოეულ თანამშრომელს ეძლევა შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, დასვას კითხვები და მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე და კოლეგიურ გადაწყვეტილებების მიღებას. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თანამშრომელთა ინტეგრირებას ორგანიზაციის გუნდში და მათი კუთვნილების განცდის გაძლიერებას.

პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვის პროცესშიც მკაფიოდ არის ასახული თანამონაწილეობითი მიდგომა. ტრენინგებისა და განვითარების აქტივობების განსაზღვრისას, საქმიანობის შეფასებების შედეგებთან ერთად, გათვალისწინებულია თანამშრომელთა ინდივიდუალური სურვილები, მოლოდინები და პროფესიული საჭიროებები. აღნიშნული მიმართულებით სამოქმედო გეგმა ყალიბდება გუნდურად: სწავლების სრულყოფის ცენტრი (TEC) ეყრდნობა პერსონალის საჭიროებათა კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებს და ამავდროულად განიხილავს გეგმას ცენტრის საკონსულტაციო საბჭოსთან, რომელიც დაკომპლექტებულია სკოლებისა და დეპარტამენტების წარმომადგენლებით.

ფორმალური მექანიზმების პარალელურად, უნივერსიტეტში ფართოდ გამოიყენება არაგეგმიური სამუშაო შეხვედრების პრაქტიკაც, რომელშიც ჩართულნი არიან კონკრეტული საკითხით დაინტერესებული და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს მოქნილ მმართველობას და გადაწყვეტილებების მიღებას პროფესიული განხილვის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ყოველწლიურად ატარებს თანამშრომელთა გამოკითხვას, რომლის ფარგლებშიც ფასდება შიდა ორგანიზაციული გარემო და თანამშრომელთა კმაყოფილების დონე. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, თანამშრომელთა დაახლოებით 85% გუნდურობასა და კოლეგიალურობას GIPA-ს ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად მიიჩნევს, რაც ადასტურებს უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ პოზიტიურ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ორგანიზაციულ კულტურას.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულება;
- უნივერსიტეტის პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

უნივერსიტეტში დანერგილია პერსონალის საქმიანობის შეფასების მრავალკომპონენტიანი და სისტემური მექანიზმი, რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების, სამუშაოს შესრულების ხარისხისა და სწავლების მეთოდების ობიექტური შეფასება, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით კი პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

პერსონალის შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კვლევის მეთოდები. პედაგოგიური საქმიანობის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებისა და შესაბამისი დანართების შესაბამისად და მას უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხარისხის მართვის მენეჯერი.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება ეფუძნება:

- ელექტრონული კითხვარების მეშვეობით განხორციელებულ რაოდენობრივ კვლევას;
- უშუალო ხელმძღვანელის მიერ თანამშრომლის შეფასებას და თანამშრომლის მიერ ხელმძღვანელის შეფასებას;
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის ანალიზს.

შეფასების შედეგები კატეგორიზდება, განისაზღვრება თითოეული თანამშრომლის რეიტინგული ქულა და ფასდება 4-ბალიან სკალაზე. შეფასების დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილია უკუკავშირი უშუალო ხელმძღვანელის მხრიდან ინდივიდუალური შეხვედრის ფორმატში, სადაც თანამშრომელს ეცნობა შეფასების შედეგები, ძლიერი მხარეები და გაუმჯობესების საჭირო მიმართულებები.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხარისხობრივი შეფასება ტარდება წელიწადში ერთხელ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — არაგეგმიურად. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია ასევე სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

გარდა ამისა, ადმინისტრაციული ერთეულების საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად, სასწავლო წლის ბოლოს ტარდება სპეციალური კვლევა ელექტრონული კითხვარის გამოყენებით, რომელიც 5-ბალიან სკალაზე აფასებს ერთეულების საქმიანობის ეფექტურობას.

პერსონალის პროფესიული განვითარებისა და უწყვეტი სწავლების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სწავლების სრულყოფის ცენტრი (TEC), რომელიც ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სტრუქტურული ერთეულია. ცენტრი თანამშრომლებს სთავაზობს მათ საჭიროებებზე მორგებულ ტრენინგებსა და აქტივობებს, რომელთა დაგეგმვა ეფუძნება საჭიროებათა კვლევის შედეგებს და განიხილება საკონსულტაციო საბჭოს კვარტალურ შეხვედრებზე.

TEC-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს უძღვებიან ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების მქონე ტრენერები, თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებით. ამასთან, პერსონალს აქვს შესაძლებლობა ინიცირება გაუწიოს სასურველ ტრენინგებსა და მიიღოს ინდივიდუალური ან ჯგუფური კონსულტაციები, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პროფესიული განვითარების პროცესის ეფექტიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგები ანალიზდება და განიხილება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია ადამიანური რესურსების მართვის მონაწილეობითზე დაფუძნებული, სისტემური და განვითარებაზე ორიენტირებული კულტურა. ადმინისტრაციული და აკადემიური მართვის პროცესებში უზრუნველყოფილია თანამშრომელთა ფართო ჩართულობა როგორც ფორმალური (ყოველკვირეული ადმინისტრაციული შეხვედრები, Staff meeting-ები, საკონსულტაციო საბჭოები), ისე არაფორმალური კომუნიკაციის მექანიზმების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს გუნდურ გადაწყვეტილებების მიღებას, ორგანიზაციული ერთიანობის გაძლიერებას და თანამშრომელთა ეფექტიან ინტეგრაციას.

უნივერსიტეტში დანერგილია პერსონალის საქმიანობის შეფასების მრავალკომპონენტიანი და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ეფუძნება როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ კვლევით მეთოდებს და უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების, სამუშაოს შესრულების ხარისხისა და სწავლების ეფექტიანობის ობიექტურ შეფასებას. შეფასების შედეგები სისტემატურად გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარების, გადამზადებისა და სწავლების გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის.

პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტში ეფექტიანად ფუნქციონირებს სწავლების სრულყოფის ცენტრი (TEC), რომელიც საჭიროებათა კვლევებზე დაფუძნებით გეგმავს და ახორციელებს მიზნობრივ ტრენინგებს, კონსულტაციებსა და განვითარების აქტივობებს. 2025 წელს ჩატარებული პერსონალის, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებათა კვლევის შედეგები ინტეგრირებულია ცენტრის სამოქმედო გეგმაში და უკვე ნაწილობრივ განხორციელებულია, ხოლო დანარჩენი აქტივობები დაგეგმილია მომავალი წლის განმავლობაში.ბდაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის განვითარების წლიური გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები. დაწესებულების სამწლიან სამოქმედო გეგმაშიც გამოყოფილია ბიუჯეტი პერსონალის განვითატებიზ მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება სტრატეგიულად, ხარისხზე და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომით, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, შიდა რეგულაციებთან და ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო მიზნების ეფექტიან მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

უნივერსიტეტში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა სისტემურად ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის — სწავლების სრულყოფის ცენტრის (TEC) მეშვეობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცენტრი ყოველწლიურად ამუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც ეფუძნება პერსონალის საჭიროებებისა და ინტერესების კვლევის შედეგებს და ორიენტირებულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებაზე.
სამოქმედო გეგმის ფარგლებში უკვე განხორციელდა არაერთი მიზნობრივი ტრენინგი, მათ შორის:

- სწავლების თანამედროვე მეთოდები და შეფასების კომპონენტები;
- Google-ისა და სხვა ციფრული სერვისების გამოყენება პროფესიულ სწავლებაში;
- ეფექტური უკუკავშირის მექანიზმები სასწავლო პროცესში;
- სახანძრო უსაფრთხოება.
- გარდა ამისა, ორგანიზაციული კულტურისა და გუნდური თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდა ვორქშოფი — „გუნდური განვითარების სემინარი“.

დაგეგმილი აქტივობების ნაწილი უკვე განხორციელებულია, ხოლო დარჩენილი ტრენინგები სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელდება სასწავლო წლის დასრულებამდე. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში პერსონალის პროფესიული განვითარება წარმოადგენს სტრატეგიულად დაგეგმილ, უწყვეტ და საჭიროებებზე მორგებულ პროცესს, რაც დადებითად აისახება როგორც სასწავლო პროცესის ხარისხზე, ისე ინსტიტუციურ ეფექტიანობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

GIPA-ში ახალი თანამშრომლების ეფექტური ინტეგრაციის მიზნით მოქმედებს სისტემური მიდგომა. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის გზამკვლევით გაცნობას უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებების, ძირითადი პროცესებისა, ორგანიზაციული კულტურის, ღირებულებების, ბენეფიტებისა და ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.
ინტეგრაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობს უშუალო ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლის ადაპტაციას ორგანიზაციულ გარემოსთან, ახორციელებს დეტალურ გაცნობას შიდა პროცესებსა და წესებთან.
გადამწყვეტია გუნდური შეხვედრები (Staff meeting) და პერიოდული გუნდური განვითარების სემინარები, რომლებიც ხელს უწყობს არა მხოლოდ ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას, არამედ არსებულ პერსონალთან კოლეგიალურ და გუნდურ გარემოს განმტკიცებას.
საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება მენტორობის პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სწრაფ ადაპტაციას, პროფესიული უნარების განვითარებასა და ეფექტურ კომუნიკაციას სხვადასხვა დეპარტამენტთან.
ექსპერტთა ვიზიტის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ ახალდასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ დადებითი გამოცდილება უნივერსიტეტში არსებული პერსონალის მხარდაჭერისა და ინტეგრაციის პრაქტიკებთან დაკავშირებით.
გასაუბრებისას ისინი დეტალურად აღწერეს დაწესებულებაში არსებული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ:
ახალ თანამშრომელთა ეფექტურ ადაპტაციას;

- ორგანიზაციული კულტურისა და შიდა პროცესების გაცნობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას;
- უშუალო ხელმძღვანელთან და გუნდთან კონსტრუქციულ კომუნიკაციას.

საუბრისას თანამშრომლებმა ხაზგასმით გამოხატეს კმაყოფილება უნივერსიტეტის მიმართ, რაც ამტკიცებს, რომ დაწესებულება ეფექტურად ახორციელებს ახალ თანამშრომელთა ინტეგრაციის პოლიტიკას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5.პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

უნივერსიტეტში პერსონალის პროფესიული განვითარების სისტემის ფარგლებში განიხილება როგორც ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ტრენინგებისა და კურსების შეთავაზება, ასევე თანამშრომელთა ინიციატივების წახალისება.
პერსონალს შეუძლია მოითხოვოს ინდივიდუალური ან ჯგუფური კონსულტაციები და ინიციროს ტრენინგები, რომლებიც დაკავშირებულია მათ პროფესიულ განვითარებასთან, ახალი უნარების შეძენასთან ან კვალიფიკაციის ამაღლებასთან.
კონკრეტული მაგალითია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურისა და ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის თანამშრომლებისთვის დაგეგმილი ორი ტრენინგი, რომელიც განხორციელდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების ინიციატივით.
იმ შემთხვევებში, როდესაც უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს საჭირო ტრენინგს შიგნით, პერსონალს სთავაზობენ ორგანიზაციის გარეთ არსებული სასერტიფიკატო ან მოკლევადიანი კურსების თანადაფინანსებას/დაფინანსებას.
პერსონალთან ინტერვიურებისას ზემოაღნიშნულის დასტურად დასახელებულ იქნა არაერთი პერსონალის გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით, დაწესებულების პერსონალის მიერ ჩატარებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები სხვა პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი -პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი- პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები;
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - პერსონალის კმაყოფილების და საჭიროებათა კვლევის შედეგები;
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - პერსონალის განვითარების გეგმა 2025 წელი;
- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - პერსონალის განვითარების მიზნით ღონისძიებების ჩატარების მტკიცებულებები;
- დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

დაწესებულება - ა(ა)იპ - „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ **პროფესიულ პროგრამაზს ახორციელებს მხოლოდ ერთ მისამართზე** - რუსთავის გზატკეცილი N22ა (საკადასტრო კოდი 01.18.12.007.031), დაზუსტებული ფართობი: 5130.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შენობა-ნაგებობის ფართი 5098.72 კვ.მ., საერთო ფართიდან პროფესიული პროგრამებისთვის გამოიყენება 562,57 კვ.მ საიჯარო ვადა შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულია 2034 წლის 31 აგვისტომდე.

ექსპერტთა მიერ მოხდა სასწავლო ფართის დათვალიერება, კერძოდ: შენობის მეორე და მესამე სართულზე ფოიეები/სასწავლო/ადმინისტრაციული ფართი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, სადაც განთავსებულია სამედიცინო სივრცე, ბიბლიოთეკა, შეხვედრების ოთახები. მეორე სართულზე კეთილმოწყობილია ფოიე, A, B, A/C, სასწავლო გარემო, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცე, პროფესიული სტუდენტთა შემოქმედებითი სივრცე, სანიტარიული კვანძები მოწყობილია დაწესებულების ყველა სართულზე, სანიტარიული კვანძები ადაპტირებული შშმ პირთათვის მოწყობილია პირველ სართულზე. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებაში არსებობს პანდუსი. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია შენობაში დამონტაჟებული ლიფტით. ექსპერტთა შეფასებით ადმინისტრაციული სივრცის, სამუშაო ოთახების და სასწავლო აუდიტორიების ფართობი, განლაგება და მოწყობა შეესაბამება დანიშნულებას, მომუშავე პირების და ჯგუფში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობას. „მატერიალური რესურსის განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესები“ გაწერილია რექტორის 2018 წლის 28 მარტის N 01-18/057 ბრძანებით დამტკიცებულ (ბოლო ცვლილება 2024 წლის 27 მაისის N01-24/183 ბრძანება) „შინაგანაწესით“. დოკუმენტით განსაზღვრულია დაწესებულების უძრავი ქონებით სარგებლობის ზოგადი წესი; მოძრავი ქონების განკარგვის წესი; მატერიალური რესურსით/მასალებით უზრუნველყოფის წესი; სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების მართვა და პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებას სარგებლობაში გააჩნია თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი - შენობა-ნაგებობა, აღჭურვილობა (ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა), აპარატურა, სასწავლო გარემო (A, B, A/C გარემო), ინვენტარი და ინფრასტრუქტურა, პროგრამების მიხედვით, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

დაწესებულების შინაგანაწესის IV თავი - „მატერიალური რესურსის განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესები“ ადგენს, რომ საქმიანობასთან დაკავშირებული მატერიალური რესურსის განკარგვას, მატერიალური რესურსის თანამშრომლებზე/სტრუქტურულ ერთეულებზე განაწილებას და განსაზღვრას უზრუნველყოფს მატერიალური რესურსის განაწილებაზე პასუხისმგებელი პირი. როგორც ზემოთაღნიშნული წესით, ასევე გასაუბრებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე ისარგებლოს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის; პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ დაწესებულების ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით და საბიბლიოთეკო რესურსებით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ შესაბამისად. პროფესიული სტუდენტები ასევე უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, პროფესიული სტუდენტური სივრცით. ვიზიტის დროს, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ აქვთ საშუალება საჭიროებისამებრ გამოიყენონ შესაბამისი მატერიალური რესურსი და საერთო სარგებლობის სივრცეები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
დაწესებულების რექტორის 2018 წლის 27 მარტის #01-18/052 ბრძანებით დამტკიცებული „დებულების“ მიხედვით სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია ლოგისტიკისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. შენობების შიდა და გარე პერიმეტრის დალაგება - დასუფთავებას ყოველდღიურ რეჟიმში უზრუნველყოფს შესაბამისი პერსონალი, ერთჯერადი ხელთათმანის გამოყენებით. ნაგავშემკრები კონტეინერები საკმარისი რაოდენობითაა, თავდახურულია და ნიშანდებულია. დალაგება - დასუფთავების პროცესში გამოყენებულია სახელმწიფოს მიერ ნებადართული სარეცხი და სადეზინფექციო საყოფაცხოვრებო ტიპის საშუალებები. დაწესებულებას ემსახურება დასუფთავების თანამშრომლები, რომლებთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები. 2025 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევის მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა, 92.2% ნაწილობრივ ეთანხმება და სრულად ეთანხმება, რომ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები უზრუნველყოფილია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4.შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით
დაწესებულებია სრულად აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. გათბობის სისტემის არსებობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია კონდიცირების სისტემით და უზრუნველყოფილია გაგრილების შესაძლებლობაც, რასაც დადებითად აფასებენ პროფესიული სტუდენტები და პერსონალი.
2025 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევის მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისა 93,8%-ზე მეტმა დადებითად შეაფასა გათბობის/გაგრილების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება. ვიზუალური დათვალიერებით, პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება ცენტრალური გათბობის სისტემის გამართულობა და ფუნქციონირება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
დაწესებულებაში ცალკე სტრუქტურულ ერთეულად წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომლის მიზანია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების საკითხების ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების პრინციპების განსაზღვრა; არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება და მათგან მომდინარე რისკების მართვის მიზნით, საკონტროლო ღონისძიებების დაგეგმვა; დაწესებულების თანამშრომლებისთვის პერიოდულად სწავლებისა და ინსტრუქტაჟის ჩატარება; შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, რაც ერთობლიობაში უზრუნველყოფს დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას.
დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტები. შრომის უსაფრთხოების პროცედურები ხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოდგენილია რისკების მართვის სქემები, ნარჩენი რისკების მართვის მექანიზმები, ინსტრუქტაჟის შევსებული ჟურნალები და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები

სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფია გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესის - IV თავში - „მატერიალური რესურსის განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესები“, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, „შესასყიდი მატერიალური საშუალებების რაოდენობის განსაზღვრა ხდება წინა წლების განმავლობაში მოხმარებული ანალოგიური საშუალებების რაოდენობებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მასალის/ნედლეულის მოთხოვნა ხორციელდება ლოგისტიკის სამსახურის მიმართ წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების (კომპიუტერული ტექნიკა, ფოტო/ვიდეო აპარატურა, პროგრამული უზრუნველყოფა, სპეციალური ინვენტარი/აღჭურვილობა და სხვა საშუალებები) შეძენა ხორციელდება, ამავე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისადმი/კანცლერისადმი წარდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის/კანცლერის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ხორციელდება მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესყიდვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ. მატერიალური რესურსის გაცემის ფაქტი აღირიცხება ელექტრონულად ლოგისტიკის სამსახურის მიერ, სადაც აღინიშნება გაცემული მასალის დასახელება, მასალის რაოდენობა, გაცემის თარიღი და მიმღები პირი. მოთხოვნილი მატერიალური რესურსის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით ადასტურებს მოთხოვნის წარმდგენი/მიმღები პირი. მატერიალური რესურსის საერთო მარაგის აღრიცხვა წარმოებს ელექტრონულად, რომელსაც ახორციელებს ლოგისტიკის სამსახური“. აღნიშნული წესის გამოყენების დადასტურების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და მასალა-ნედლეულის შესყიდვების, აღრიცხვისა და მათი ჩამოწერის/უტილიზაციის დოკუმენტების შესწავლა, ასევე, პროგრამების განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესისთვის მუდმივად უზრუნველყოფილია მასალა-ნედლეულის შეუფერხებელი მიწოდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7.ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მე-8 თავით განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ეტაპებს, მათ შორის მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შეფასების მიმართულებით, რომლის თანახმად მატერიალური რესურსების შეფასება ხორციელდება ინვენტარის აღწერა/განახლება/შეკეთების შესახებ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებული ანალიზით და გამოკითხვებით - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსის შეფასება პროფესიული სტუდენტების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლების, ადმინისტრაციის მიერ. 2025 წელს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების მიზნით ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა, გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც ძირითადად დადებითად შეფასდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, თუმცა გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეებიც რა მიმართულებითაც დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირს იყენებს განვითარების მიზნით. აღნიშნული გარემოებები ექსპერტებთან გასაუბრებისას კმაყოფილებით აღწერეს გამოკითხვაში მონაწილე კურსდამთავრებულებმა, ვინაიდან მათი სურვილი რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა ვაიფაის სიჩქარისა და ინტერაქციული სასწავლო პროცესის გაუმჯობესება, ადმინისტრაციის მიერ უპირობოდ იქნა გათვალისწინებული, პირველ შემთხვევაში გაიზარდა ვაიფაის მიწიდების სიჩქარე, ხოლო მეორე შემთხვევაში სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ მოხდა დამატებითი ტრენინგების ჩატარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

დაწესებულების ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დგინდება, რომ დაწესებულების ყველა სართულზე მოწყობილია სანიტარული კვანძები, გამიჯნული - ქალებისა და მამაკაცებისთვის. სანიტარიული კვანძები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. სანიტარული კვანძები მუდმივად მარაგდება ცხელი და ცივი წყლით, სათანადოდ მოწესრიგებულია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (ერთჯერადი ხელსახოცები, თხევადი საპონი და ა.შ). სანიტარიულ კვანძები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებით და ვენტილაციით. ექსპერტთა შეფასებით მათი რაოდენობა, სან. ტექნიკური და სან. ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

დაწესებულების სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, ბიბლიოთეკას და საერთო სივრცეებს აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის სივრცეში. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გაიტანონ წიგნი ან ისარგებლონ დაწესებულების საბიბლიოთეკო სივრცით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

დაწესებულების სივრცეები გამიჯნულია და იმგვარადაა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცეები. დაწესებულებაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო ან სამუშაო სივრცეები. დაწესებულების ტერიტორიაზე გამოყოფილია შემოქმედებითი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სივრცე, სადაც მათ აქვთ შეუფერხებლად მუშაობის შესაძლებლობა. საარქივო დოკუმენტებისთვის გამოყოფილია ცალკე სეიფი, ექსპერტებთან გასაუბრებისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად

დაწესებულების რექტორის 2024 წლის 16 თებერვლის N 11-24/51 ბრძანებით დამტკიცებულია „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები“, რომლითაც რეგულირდება: ბიბლიოთეკაში გაწევრიანება; საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა; ბიბლიოთეკის ფიზიკურ რესურსზე წვდომა, ბიბლიოთეკიდან სამკითხველო მასალის გატანისა და დაბრუნების წესები; გაფრთხილება საბიბლიოთეკო რესურსის დაბრუნების ვადის გასვლის შესახებ; ბიბლიოთეკაში ქცევის წესები; პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკაში ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ გამოკრულია საბიბლიოთეკო სივრცეში, სადაც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები მოსარგებლეთათვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნებადართულია სასწავლო მასალების ამობეჭდვა ან/და ასლის გადაღება. ბიბლიოთეკაში ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი დაცულია ელექტრონული სახით, რომელიც პროფესიული სტუდენტებისათვის ამავდროულად ხელმისაწვდომია https://gipa.ge/geo/static/441/biblioteka. ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. წიგნების ელექტრონული კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე, რომელსაც აქვს, ასევე, ძებნის ფუნქცია. დაწესებულებას ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და ბიბლიოთეკარი, რომლებიც ახორციელებენ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო სივრცე. საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი პირები საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და დებულების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი 01.18.12.007.031;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- იჯარის ხელშეკრულება;
- შინაგანაწესი;
- მატერიალური რესურსის განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესები ;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები;
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში და რეკომენდაციები (2025 წ.);
- ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა;
- დაწესებულების ვებ. გვერდი www.gipa.ge
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- გასაუბრების და დათვალიერების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა, 2024 წლის 31 ოქტომბერს გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების გამოკვლევის აქტი N481, რომლის მიხედვითაც დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. დაწესებულებას ყავს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე 2 პასუხისმგებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ექსპერტთა მიერ ვიზულური დათვალიერებით, დერეფნებში განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია ცეცხლმაქრების გამოყენების ინსტრუქცია, საევაკუაციო გეგმები და ცხელი ხაზის ნომერი. ყველა სართული უზრუნველყოფილია საევაკუაციო გასასვლელით.
ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (2024 წლის 21 მარტი, N5001747624) 2019 წლის 4 ივლისს გაცემული დასკვნა (ექსპერტის დასკვნა #004637119) რომლის მიხედვითაც, შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია როგორც დამაკმაყოფილებელი, დასკვნაში ასევე აღნიშნული იყო, რომ **შენობის შემდგომი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე იგი ვერ აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედი სეისმური ნორმების მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში რექტორის 05.12.2025 წლის N 01-25/374 ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (5.1.2 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკი , გასატარებელ ღონისძიებებში მითითებული იყო ოთხი აქტივობა: კომპეტენტური ორგანოს მოძიება და ხელშეკრულების გაფორმება შენობის უსაფრთხოების შესახებ, კომპეტენტური ორგანოს ვიზიტი და შენობა-ნაგებობის დათვალიერება შესაბამისი დასკვნის/ინსპექტირების ანგარიშის მომზადების მიზნით, კომპეტენტური ორგანოს მიერ დასკვნის/ინსპექტირების ანგარიშის მომზადება, უნივერსიტეტის მიერ კომპეტენტური ორგანოს მომზადებული დასკვნის//ინსპექტირების ანგარიშის პროფესიული საგანმანათლებლო გაცნობა და დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნებისათვის დაინტერესებული პირებისათვის მიწოდება. წინამდებარე აქტივობების განხორციელების ვადად მითითებულია არაუგვიანეს 30.01.2026 წელი. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ დაწესებულებამ პირველი აქტივობა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე განახორციელა, კერძოდ გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება N: C-975/12/25-I975 შპს „მშენ ექსპერტი +“ -თან, გადახდილ იქნა ასევე მომსახურების საფასური, ხელშეკრულების პირობების თანახმად შპს „მშენ ექსპერტი +“ იღებს ვალდებულებას მიმდინარე წლის 26 დეკემბრამდე განახორციელოს უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობის მდგომარეობის შეფასება და დასკვნის გაცემა. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ მოცემული დრო რელევანტური იყო, რადგან დაწესებულებაში პროცესები ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დასკვნის პროექტში შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - რექტორის 05.12.2025 წლის N 01-25/374 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (5.1.2 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში 30.01.2026 წელი უზრუნველყოს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და დასკვნის მოპოვება.**

14/01/2026 წლის MES 5 26 0000019958 კორესპონდენციის საფუძველზე, ა(ა)იპ ჯიპა — საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ იქნა არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციასთან მიმართებით, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის (რუსთავის გზატკეცილი №22ა) ტექნიკური მდგომარეობის შეფასება განხორციელდა კომპეტენტური ორგანოს მიერ. ჩატარებული ინსპექტირების საფუძველზე დადგინდა, რომ შენობა-ნაგებობა ვარგისია ექსპლუატაციისთვის და გაიცა დადებითი დასკვნა(იხ.დანართი N2). აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასება „მეტწილი შესაბამისი“ შეიცვალა შეფასებით — „შეესაბამება“.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N01-22/285 ბრძანებით. დაწესებულებას ჰყავს სამედიცინო ნორმების პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას დაწესებულების ტერიტორიაზე. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, შენობის მესამე სართულზე გამოყოფილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტებითა და ინვენტარით, გამოკრულია სამედიცინო ნორმების პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, რომელზეც უნდა მოხდეს საჭიროების შემთხვევაში დაკავშირება. სამედიცინო ნორმების პასუხისმგებელი პირი, რომესაც აქვს პირველადი ექიმამდელი დახმარების ტრენინგის სერთიფიკატი, აწარმოებს შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს. დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლებს ყოველწლიურად უტარდებათ ტრენინგები პირველად სამედიცინო დახმარებაში. ბოლო ამგვარი ტრენინგი 2024 წლის 22 ოქტომბერს ჩატარდა, რომელშიც დაწესებულების 74 თანამშრომელი მონაწილეობდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

დაწესებულების რექტორის 2024 წლის 2 ოქტომბრის N 01-24/311 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საგანგებო მართვის გეგმა“ რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების კრიზისულ/ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ეფექტურ მიმართულებებს და ღონისძიებებს. დოკუმენტის მიზანია „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან სტუდენტთა და თანამშრომელთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა; კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების რისკების შემცირების, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება; საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა; მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა; შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა“. სამუშაო სივრცეში საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად დაწესებულების რექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ლოგისტიკისა და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც ასევე არის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

დაწესებულებას რექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N01-22/285 ბრძანებით შემუშავებული აქვს „წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, რომლის მიხედვით დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები არიან უნივერსიტეტის უსაფრთხოების მენეჯერები, მათი საქმიანობა ასევე მოიცავს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას, მათ ფუნქციაში ასევე შედის უნივერსიტეტის შიდა და გარე ტერიტორიის ყოველდღიური ვიზუალური დათვალიერება და კონტროლი; წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულების პერსონალის, სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების შემოსვლისა და გასვლის მონიტორინგის განხორციელება. ვიდეო-სათვალთვალო მოწყობილობების მეშვეობით ხორციელდება დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრის მონიტორინგი. 2024 წლის 8 მაისიდან, რუსთავის გზატკეცილ N22ა-ში მდებარე შენობის დაცვითი მომსახურებისთვის ხელშეკრულება გაფორმდა შპს „მაგისტრი”-თან, რომელიც ადგილზე მყოფი დაცვის სამსახურის თანამშრომლების მეშვეობით უზრუნველყოფს აღნიშნული შენობის 24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საათიან დაცვას, კვირაში შვიდი დღის განმავლობაში. წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასწავლო შენობასა და შენობის პერიმეტრზე დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები აღჭურვილია ჩანაწერების შენახვის ფუნქციით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მიხედვით, დაწესებულებაში განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების მოცულობის შენახვის ვადა არის 30 კალენდარული დღე. ვიდეო კამერების ჩანაწერის ვადის ამოწურვის შემდგომ ახალი ჩანაწერის გაკეთება ხდება ძველზე გადაწერის გზით - რაც იწვევს ძველი ჩანაწერის ავტომატურ წაშლას. დაცვის თანამშრომლებმა ავტორიზაციის ექსპერტებთან წარმოადგინეს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. ამასთანვე, უნივერსიტეტს ჰყავს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები (საკუთარი თანამშრომლები), რომლებმაც შესაბამისი ტრენინგები გაიარეს უსაფრთხოების სისტემების გამოყენებასთან და საგანგებო სიტუაციებში მათ მიერ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. დაწესებულების 2025 წელს სტუდენტთა, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა, გამოკითხვის მიხედვით, 94% ეთანხმება დებულებას, რომ უნივერსიტეტში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების გამოკვლევის აქტი;
- „წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“,
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის აღრიცხვის ჟურნალი;
- დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელის სამუშაო აღწერილობა და პირადი საქმე;
- „ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საგანგებო მართვის გეგმა“
- შინაგანაწესი;
- მომსახურებისთვის ხელშეკრულება N: C-975/12/25-I975 შპს „მშენ ექსპერტი +“ -თან;
- შპს „მშენ ექსპერტი +“ -მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.
- ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი;
- გასაუბრების და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, რასაც ადასტურებს 2025 წლის 31 იანვარს განხორციელებული საინვენტარიზაციო აღწერის დოკუმენტი. შესაბამისად პროფესიულის მიმართებით დაწესებულების მფლობელობაშია: 34 პერსონალური კომპიუტერი და 24 ლეპტოპი. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსების უწყვეტ მიწოდებას უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). ინტერნეტის მომსახურებასთან დაკავშირებით 2025 წლის 1 იანვარს მომსახურების ხელშეკრულება (N1-25) გაფორმებულია ააიპ საქართველოს სამეცნიერო - საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენასთან“, ხელშეკრულების ვადად განსაზღვრულია 2025 წლის 31 დეკემბრი. კომპიუტერების პარამეტრები სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შესაბამისია. დაწესებულების მლობელობაშია ასევე 6 პრინტერი, 2 მონიტორი, 3 ჭკვიანი მონიტორი, 3 პროექტორი და სხვა. წარმოდგენილი ტექნოლოგიური რესურსი სრულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას. ექსპერტთა შეფასებით IT ინფრასტრუქტურა საგანმანათლებლო პროგრამებისა (3 პროგრამა) პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია. IT ინფრასტრუქტურა იძლევა სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული პროცესების სრულყოფილად წარმართვის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მიზნით დაწესებულებას გაწერილი აქვს „საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკა“ რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2024 წლის 8 მაისის N01-24/161 ბრძანებით. დოკუმენტის თანახმად „კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობების, ქსელური პრინტერების მონიტორინგი ხორციელდება საერთო ქსელური მონიტორინგის პროგრამის საშუალებით. პასუხისმგებელი პირი აწარმოებს ყოველკვირეულ მონიტორინგს ქსელური და პერიფერიული მოწყობილობების ვიზუალურ და სისტემურ მონიტორინგს, შეფერხებების პრევენციის მიზნით“. აღნიშნული რეგულაცია მოიცავს IT რისკების მართვას, იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რასაც ახორციელებს აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელი სამსახური - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. სამსახურის ხელმძღვანელთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის მოვალეობაში შედის საინფორმაციო ტექნოლოგიების გუნდის მართვა; კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის დაცვა დაზიანებისაგან, დაწესებულების პროგრამული სისტემების (ელექტრონული სერვისების) ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და კონტროლი; დაწესებულებაში წარმოდგენილი კომპიუტერები უზრუნველყოფილია IT ვირუსისგან დამცავი სისტემით, რაც დასტურდება ანტივირუსული პროგრამის შესყიდვის მიღება-ჩაბარების აქტით, ინვოისით და ვიზუალური დათვალიერებით. დოკუმენტის თანახმად „ქსელური ინფრასტრუქტურის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება მონიტორინგის რამდენიმე სისტემა, რომელიც შეფერხების, შენელების, წყვეტის შემთხვევაში ავტომატურად აცნობებს პასუხისმგებელ პირს. შესაბამისი საგანგებო შეტყობინება, ასევე იგზავნება თავად მონიტორინგის პროგრამასთან კავშირის წყვეტის შემთხვევაშიც“ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვას, დაწესებულების ციფრული და ინტერნეტ-სერვისებით უზრუნველყოფას და პასუხისმგებელია დაწესებულების კომპიუტერული ქსელის დაგეგმარებაზე, გამართვასა და ოპტიმალურ ფუნქციონირებაზე, ახორციელებს კომპიუტერული ტექნიკის ინსტალაციას, პროგრამული დარღვევების აღმოფხვრას, ვირუსებისაგან გაწმენდას, საჭიროებისამებრ კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაციასა და რემონტს. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებით და წარმოდგენილი ანგარიშებით დადასტურდა, რომ ყველა სახის ტექნიკური სამუშაო ან პროგრამული განახლება, რომელიც იწვევს ქსელის ფუნქციონირებაში შეფერხებას, ხორციელდება არასამუშაო საათებში, ხოლო ქსელის ფუნქციონირების შეფერხების შესახებ ინფორმაცია მომხმარებლებს მიეწოდებათ სულ მცირე ერთი დღით ადრე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას

დაწესებულებაში დამტკიცებულია და დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, რომლის მიზანია „განსაზღვროს და აღწეროს უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების პროცედურები, ასევე, განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებათა რეალიზების გზები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის გამჭვირვალობა“. რეგულაციის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა ეფექტური შესრულების მიზნით, უნივერსიტეტში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის უფლება-მოვალეობებია: მონაცემთა დაცვასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებულ საკითხებზე დაწესებულების ადმინისტრაციული და პროფესიული მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კონსულტაციის გაწევა; უნივერსიტეტის მხრიდან მონაცემთა დაცვისა და დამუშავების პროცესის პერიოდული (არაუმეტეს 1 წლიანი შუალედით) ანალიზი შესაბამის კანონმდებლობასთან თავსებადობის მიზნით; მონაცემთა სუბიექტების განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირება; ფაილური სისტემის კატალოგის შექმნა/განახლება და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის წარდგენა; კანონმდებლობითა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების შესრულება. ოფიცერი საკუთარი უფლებამოვალეობების შესრულებისას არის დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებულია უშუალოდ რექტორის წინაშე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას დადგინა, რომ დაწესებულებაში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხისმგებელი პირი.

4.პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

დაწესებულების საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობა დასტურდება IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისა და მისი ანგარიშის გაცნობის შედეგებით. ირკვევა რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ, დაწესებულების პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის სწავლისა და შრომის შესაბამისი პირობებია შექმნილი. მისი აღნიშვნით, იყო კომპიუტერების დაზიანება, მაგრამ სწრაფადვე მიმდინარეობდა ხარვეზების აღმოფხვრა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომელთა ჩართულობით. ასევე, მთელი წლის განმავლობაში დაწესებულების ვებ გვერდზე ხდებოდა ინფორმაციის განახლება, დაწესებულების სოციალური ქსელების ტექნიკური ადმინისტრირება და მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში წარმოებს დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკისათვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისაგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი. როგორც უკვე აღინიშნა დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მიწოდებული სერვისების კმაყოფილების შეფასების მიზნით, დაწესებულება ყოველწლიურად ატარებს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში portal.gipa.ge, გამოკითხვის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეაფასონ IT ინფრანსტრქტურა. დოკუმენტის „მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების ანგარიშის“ მიხედვით, გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა აუდიტორიაში არსებულ ტექნიკას პოზიტიურად აფასებს. 87.4% ნაწილობრივ ეთანხმება და სრულად ეთანხმება, რომ ინვენტარი უზრუნველყოფს სწავლის ეფექტურად განხორციელებას, რაც გაზიარებულ იქნება IT სამსახურისათვის მეტი რესურსის მობილიზების მიზნით აღნიშნული მიმართულებით, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ 2024 წელთან შედარებით ამ შემთხვევაშიც გაზრდილია კმაყოფილების მაჩვენებელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების ყველა შენობა-ნაგებობისა და სივრცის დამაკავშირებელი საერთო შიდა ქსელი წარმოდგენილია ორ დამოუკიდებელ ვირტუალურ ქსელად: ადმინისტრაციის ვირტუალური ქსელი, სტუდენტებისა და სხვა სტუმრების ვირტუალური ქსელი. აღნიშნული ქსელები ერთმანეთისგან დამოუკიდებელად ფუნქციონირებს. დაწესებულება სრულად დაფარულია უსადენო ქსელით, გამარტივებული წვდომის შესაძლებლობით. როგორც ავღნიშნეთ დაწესებულების ინტერნეტ პროვაიდერია სს "გრენა", რომელიც უზრუნველყოფს გარანტირებული მაღალ სიჩქარიანი სიმეტრიული 120 მგბტ/წმ საერთაშორისო არხი და 1000 მგბტ/წმ ლოკალური არხი, ტრაფიკი: შეუზღუდავი. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი მიეწოდება ორივე ვირტუალურ ქსელს. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები და პერსონალი აღნიშნავენ, რომ დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის მოთხოვნის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით ინფორმირებას დაწესებულება ახორციელებს @gipa.ge ან @gipa.edu.ge დომენით, რომელიც წარმოადგენს სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალებას, არის უნივერსიტეტის საკუთრება და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებით. დაწესებულებაში ჩარიცხვისთანავე ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა პერსონალისათვის იქმნება საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მათი ინფორმირება საუნივერსიტეტო და სხვა მათთვის სასარგებლო სიახლეების შესახებ. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს საუნივერსიტეტო ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზა - „Portal.gipa.ge", შესაბამისად დაწესებულებას აქვს შემუშავებული „ელექტრონული ბაზის (PORTAL.GIPA.GE) გამოყენების წესები", რომლითაც განსაზღვრულია მონაცემთა ბაზის შემადგენლობა, საგანმანათლებლო პროცესის ელექტრონული მართვის პრინციპები, ბაზასთან წვდომაზე უფლებამოსილი პირებსა და ბაზის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლითაც სარგებლობენ როგორც პროფესიული სტუდენტები, ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სასწავლო პროცესში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალი. გასაუბრებისას პერსონალი, განმახორციელებლები და პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ დაწესებულებაში საკომუნიკაციო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკა;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების ანგარიში;
- ელექტრონული ბაზის (PORTAL.GIPA.GE) გამოყენების წესები;
- IT სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის აქტი;
- ვებ.გვერდი www.gipa.ge ;
- გასაუბრების და დათვალიერების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2018 წლის 28 მარტის N 01-18/057 ბრძანებით დამტკიცებულ „შინაგანაწესის“ II თავიში მოცემულია „საქმისწარმოების წესი“, რომლიც განსაზღვრავს დაწესებულებაში ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზებას, ადგენს დოკუმენტებისა და განცხადების/წერილების, ბრძანებების, ხელშეკრულებების და უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმების წარმოების და სისტემატიზაციის პროცედურებს, ასევე საარქივო საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაწესებულებაში საქმისწარმოების სისტემის ორგანიზება და დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობა ხორციელდება საქმისწარმოების მენეჯერის მიერ „საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად; დაწესებულება დოკუმენტებს იღებს მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. დაწესებულებაში შემოსული კორესპონდენციის მიღება და აღრიცხვა ხდება დაწესებულების საქმისწარმოების მენეჯერის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი მატერიალური სახით შემოვიდა უნივერსიტეტის იმ კამპუსში, რომელშიც არ არის წარმოდგენილი საქმისწარმოების მენეჯერი ან სამსახურებრივად მის დაქვემდებარებაში მყოფი პირი, პირი რომელმაც ჩაიბარა შემოსული დოკუმენტი ვალდებულია, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, მოახდინოს შემოსული დოკუმენტის სკანირება და ელექტრონული სახით საქმისწარმოების მენეჯერისთვის მიწოდება. დაწესებულების საქმისწარმოების მენეჯერი ან სამსახურებრივად მის დაქვემდებარებაში მყოფი პირი ელექტრონული სახით შემოსული დოკუმენტის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ახორციელებს შემოსული დოკუმენტის ამობეჭდვას, მის რეგისტრაციასა და შესაბამის საქაღალდეებში მატერიალური და ელექტრონული სახით შენახვას. ელექტრონული დოკუმენტი აიტვირთება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში და ელექტრონული სახით მიეწოდება შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომელს (დოკუმენტის ელექტრონულად მიწოდებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იყოს სხვა საშუალება). დოკუმენტის რეგისტრაციის დროს დოკუმენტის პირველ გვერდზე, მარჯვენა ზედა კუთხეში, დაესმება რეგისტრაციის ნომერი, შემოსვლის თარიღისა და ფურცლების რაოდენობის ან/და სხვა მატერიალური და ელექტრონული დანართის აღრიცხვით. პროფესიული სტუდენტებთან დაკავშირებით ცნობების მომზადება და გაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე ხორციელდება დაწესებულების ელექტრონულ მონაცემთა ბაზის (PORTAL.GIPA.GE) მეშვეობით, აღნიშნული ბაზის გამოყენებით შესაძლებელია შემდეგი ცნობების გაცემა: ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ; ფორმა №26 (ვაჟ სტუდენტთათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაწვევაზე უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენად) მხოლოდ ქართულ ენაზე; პროფესიულ სტუდენტის მოთხოვნისამებრ, საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ცნობები. ცნობებს აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ (მათ შორის დამხმარე) პერსონალთან დაკავშირებით გასცემს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერი. ცნობის შინაარსს საქმისწარმოების მენეჯერი აზუსტებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან. მსგავსი ტიპის ცნობები მზადდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ბლანკზე და მასზე დაისმება უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერა. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება იქმნება და რეგისტრირდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით. უნივერსიტეტის რექტორის სახელით გამოცემული ბრძანებების რეესტრის წარმოების მიზნით, ბრძანების გამოცემის შემდეგ საქმისწარმოების მენეჯერი ამობეჭდავს მას და მატერიალური სახით ინახავს შესაბამის საქაღალდეში. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები, გასული და შემოსული კორესპინდეციების აღრიცხვა შესაბამის მონაცემთა ბაზაში, რითად დადასტურდა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისობა პრაქტიკულ საქმიანობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

დაწესებულება მმართველობისას მათ შორის საქმისწარმოებაში იყენებს თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას „eDocument“, ასევე პროფესიულ სტუდენტთა განცხადებების/ცნობების მომზადებასთან/გაცემასთან დაკავშირებით საქმისწარმოება ხორციელდება დაწესებულების ელექტრონულ მონაცემთა ბაზის „PORTAL.GIPA.GE“ მეშვეობით, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელებული დათვალიერებისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვის პროცესები უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით და სრულად შეესაბამება დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ წესებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას

პროფესიული დაწესებულებების მართვის სისტემაში (e-vet.emis.ge) ინფორმაციის დროული შეტანის ვალდებულება აკისრია დაწესებულების საშტატო ერთეულად განსაზღვრულ პირს - ემისის მართვის მენეჯერს, რომლის სამუშაო აღწერილობაში განსაზღვრულია მისი ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები, დაწესებულებას ამ პოზიციაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ყავს ერთი თანამშრომელი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული დათვალიერებისა და ემისის მართვის მენეჯერთან გამართული გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულების „შინაგანაწესის“ II თავიში მოცემული „საქმისწარმოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზებას, ადგენს დოკუმენტებისა და განცხადების/წერილების, ბრძანებების, ხელშეკრულებების და უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმების წარმოების და სისტემატიზაციის პროცედურებს, ასევე საარქივო საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. განსაზღვრულია შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს. დაწესებულებაში საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცესების/საკითხების ზედამხედველობას ახორციელებს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერი, მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტების შესრულების კონტროლსა და დროულ რეაგირებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა დაწესებულების მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი;
- საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობა;
- ელექტრონულად გამოცემული ბრძანებები;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა და ელექტრონული ბაზის დათვალიერების შედეგები.
- დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
- დაწესებულების სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

დაწესებულების ოფიციალური ვებ გვერდია www.gipa.ge , რომელზეც განთავსებულია: საკონტაქტო ინფორმაცია მისამართის მითითებით, მისია, ხედვა და ღირებულებები, სტრუქტურა, ინფორმაცია მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ინფორმაცია ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა, სამწლიანი სამოქმედო გეგმები და შესრულების ანგარიშები წლების მიხედვით და სიახლეები. ვებგვერდზე არსებობს სიტყვით ძებნის და შეტყობინების გაგზავნის ფუნქცია. დაწესებულება ასევე იყენებს სოციალური ქსელებს: www.facebook.com/gipa.ge/-ს და www.instagram.com/gipa.ge/ , Linkdin, და TikTok რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო პლატფორმებს სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებული პირებთან კომუნიკაციისათვის. ელექტრონულ ფოსტას iinfo@gipa.ge. დაწესებულების კომუნიკაციის პლატფორმების მართვაზე, „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულების“ (მუხლი 5) შესაბამისად. პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობისა დამარკენტიკინგს სამსახურის უფროსი. ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების სხვადსხვა პლატფორმაზე ბოლო პერიოდის აქტივობებს - სხვადასხვა სახის პოსტებს, ვიზუალურ და ტექსტურ კონტენტს, ინფორმაციას მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. დაწესებულების მისიასა და დასახელებაში არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. დაწესებულებას აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდიც

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების რექტორის 2024 წლის 13 მარტის ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდის, სოციალურ ქსელებსა და სხვა საკომუნიკაციო არხების ადმინისტრირების წესი“ განსაზღვრავს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და სხვა საკომუნიკაციო არხებზე გამოქვეყნების სტანდარტს, გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას, აგრეთვე ინფორმაციის მომზადებასა და განთავსებაზე პასუხისმგებელ პირებს. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი, სოციალური ქსელები და სხვა საკომუნიკაციო არხები ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მათზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ვებგვერდზე აისახება როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები. ვებ. გვერდზე განსათავსებელად საჭირო ინფორმაცია ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლ პირს მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. ვებ გვერდზე არ არის ასახული ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლება დაწესებულებას ჯერ არ მოუპოვებია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4.საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ
დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის შესახებ. ასევე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს. კატალოგს დაწესებულებისთვის სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ექსპერთა მიერ დადასტურდა, რომ კატალოგი განახლებულია და ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად
კატალოგის შედგენაზე/განახლებაზე პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები გაწერილია „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდის, სოციალურ ქსელებსა და სხვა საკომუნიკაციო არხების ადმინისტრირების წესი“-ში. შესაბამისად, დაწესებულება ყოველწლიურად აახლებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუმჯობესებლად.

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, ინფორმაციის შესაგროვებლად, გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები, ოფიციალური სოციალური ქსელით ელექტრონული ფორმის გამოკითხვებიდან, ელექტრონული ფოსტიდან შემოსულ ინფორმაციაზე/შეკითხვებზე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება. დაწესებულება აანალიზებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს, განსაკუთრებით ხაზგასასმელია სოციალური მედიის ქსელებში განთავსებული კონტენტის/ინფორმაციის გამოხმაურების შედეგების ანალიზი, რომელსაც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური იყენებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. მაგალითად: სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გაძლიერდა WIFI-ს მუშაობის ხარისხი, სასწავლო პროცესების სამსახურის მიერ პროფესიულ მასწავლებლებს ჩაუტარდატ ტრენინგები ინრეტაქტიულ სწავლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ოფიციალურ ვებგვერდის, სოციალურ ქსელებსა და სხვა საკომუნიკაციო არხების ადმინისტრირების წესი“
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დებულება
- დაწესებულებსი ვებ გვერდი და სოციალური ქსელის გვერდები;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ინტერნეტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში და რეკომენდაციები;
- პროგრამების კატალოგები;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

GIPA წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს. დაწესებულების ძირითადი შემოსავლები სრულად იხარჯება საგანმანათლებლო მიზნებისათვის. GIPA-ს შემოსავლის ძირითადი წყაროებია სწავლის საფასურები, გრანტები და სხვა შემოსავლები, მათ შორის, შემოსავლები საკონსულტაციო და კორპორატიული ტრენინგებიდან, იჯარებიდან, მოკლევადიანი დეპოზიტებიდან და სხვა. შემოსავლების დინამიკა მოცემულია 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021, 2022, 2023 წლების აუდიტორულ დასკვნებში და განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე https://gipa.ge/geo/tab/223/regulatsiebi. დაწესებულებაში დანერგილია ფინანსური მართვისა და კონტროლის მიდგომები და წესები, რომლის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის პრიორიტეტების შესაბამისი საბიუჯეტო დაგეგმარების მაქსიმალური სიზუსტის უზრუნველყოფა. დაწესებულების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია თითოეული აქტივობისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსი. დაწესებულების 2025-2026 წლის სასწავლო წლის ბიუჯეტი შემუშავებულია დაწესებულების სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების გათვალისწინებით და დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. ექსპერტთა მიერ განხორციელდა ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, რომლებმაც დაადასტურეს დაგეგმილი აქტივობების და სამუშაოების წარმართვისთვის ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხების საკმარისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით

დაწესებულება უზრუნველყოფილია მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2024 წლის ფინანსური ანგარიში, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური ტრანზაქციის განხორციელების თაობაზე სისტემიდან ამოღებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ დაწესებულება ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

დაწესებულებაში ფინანსური მდგრადობის შემოწმება უზრუნველყოფილია, ერთი მხრივ, დაწესებულების შიდა აუდიტის ჯგუფის პერიოდული საქმიანობით, ასევე, გარე აუდიტორული კომპანიების მიერ შემოწმების გზით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ფინანსური სისტემის გამართულ ფუნქციონირებას და ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას. ამასთან, აღსანიშნავია რომ დაწესებულების „შინაგანაწესი" ითვალისწინებს ფინანსური მართვისა და კონტროლის წესებს. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დავალებებისა და დამტკიცებული წესების შესაბამისად გატარებულია რიგი ღონისძიებები, რომელიც მოიცავს შესაბამისი მართვის პროგრამის დანერგვას, საბიუჯეტო დაგეგმარებასა და აღრიცხვას. დაწესებულება ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგებას კანონმდებლობით დადგენილი წესით

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა წინა წლების სრული ფინანსური ანგარიშები, რითაც დგინდება, რომ დაწესებულება ყოველწლიურად განიხილავს ფაქტობრივ დანახარჯებს და ითვალისწინებს მომდევნო წლის ბიუჯეტირების პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი;
- სამოქმედო გეგმები;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- დაწესებულების ბიუჯეტი და მისი შესრულების ანალიზის დოკუმენტები;
- ბრუნვითი უწყისები https://gipa.ge/geo/tab/223/regulatsiebi

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N01/17/103; 13 სექტემბერი 2017 წელი (ცვლილებები ბრძანებაში: N01-25/257; 11 სექტემბერი, 2025 წელი)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	128, კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

I. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი" წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს, მათ შორის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიებს". პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის N18/02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები"-ს თავი X – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ადაპტირების დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესებით".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და მიღებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

„შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ უმაღლესი პროფესიული პროგრამა წარმოადგენს GIPA-ს პირველი საავტორო პროფესიულ პროგრამას, რომლის განხორციელების უფლება დაწესებულებამ 2018 წელს მოიპოვა. აღნიშნული პროგრამა იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი პროფესიული განათლების სისტემაში, რამაც საფუძველი ჩაუყარა შემდგომი ინოვაციური პროგრამების შემუშავებას ენერგეტიკისა და

2018 წლის შემდეგ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მიღებამ და 2019 წლის ორგანული კანონის სტატუსის მინიჭებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებზე, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. 2021 წელს შეიქმნა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, რომელსაც 2023 წლის მონაცემებით ჩაუტარდა 3765 ინსპექტირება, შემოწმდა 1636 ობიექტი და დაიცვა დაახლოებით 81,904 დასაქმებულის უფლებები. შრომის ინსპექციის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების სრული გამოსწორება გაიზარდა 23%-ით, ხოლო საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 2018 წელთან შედარებით 42%-ით შემცირდა.
GIPA პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, რომელმაც პროგრამის მომზადება და განხორციელება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონთან ერთად დაიწყო. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს როგორც თეორიულ ცოდნას (შრომის უსაფრთხოების ნორმები, რეგულაციები, გარემოსდაცვითი სტანდარტები), ისე პრაქტიკულ უნარებს (დოკუმენტაციის წარმოება, ინსპექტირებაში მონაწილეობა, რისკების შეფასება), ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, გუნდურ მუშაობასა და პრობლემის გადაჭრის უნარებს.
2025 წლის შრომის ბაზრის ანალიზით დასტურდება, რომ შრომის უსაფრთხებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით პროფესიული კადრების მოთხოვნა მაღალია, განსაკუთრებით მშენებლობის, საკონსულტაციო მომსახურებისა და წარმოების სექტორებში.
GIPA-ს პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები 2025 წელი:

- **86.8%** **უკვე დასაქმებულია;**
- **87.7%** მუშაობს კვალიფიკაციის შესაბამის პოზიციებზე;
- **61.5%** მაღალი რგოლის პოზიციებზე;
- **76.5%** დასაქმდა სწავლის პარალელურად ან 6 თვის განმავლობაში;
- **47%** დასაქმდა GIPA-ს რეკომენდაციით;
- **89.4%** მიიჩნევს, რომ პროგრამაში მიღებული ცოდნა დაეხმარა დასაქმებას;
- **81.8%** აღნიშნავს, რომ კურსდამთავრებულის სტატუსი დასაქმებისას მნიშვნელოვანი იყო;
- **98.7%** რეკომენდაციას აძლევს ახლობლებს დაწესებულებაში ამ პროგრამაზე ჩაბარებას.

აღნიშნული პროფესიული პროგრამა ეფექტურად პასუხობს შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით ბაზრის საჭიროებებს. პროგრამის კურსდამთავრებულები მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

GIPA-ს „შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული პროგრამის განსაკუთრებული განმასხვავებელი თვისება მისი განმახორციელებელი ადამიანური რესურსია. დაწესებულება ინარჩუნებს ტრადიციულ თანამშრომლობას პროგრამის ავტორთა ჯგუფთან, რომლებიც შექმნის დღიდან ახორციელებენ პროგრამის სხვადასხვა მოდულებს.

> პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს საწარმოო პრაქტიკის მოდულს, რომელიც GIPA-ს მიერ ორგანიზებულია და რომელსაც ახორციელებენ შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო ორგანიზაციები, მრავალპროფილურ დაწესებულებებში.

ამ კონტექსტში, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას, ასევე გარემოს დაცვას, ნარჩენების მართვას და სხვ. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით“. აღნიშნულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტის მეათე თავში - „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის წესები“ გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. **დაინტერესებულ პირს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა, მოეთხოვება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება.** სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები”, რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. ექსპერტთა შეფასებით, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2019 წლის N 01/19 ოქმით. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული პროგრამის სპეციფიკას, უნივერსიტეტის რესურსებს და განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა იმ ოპტიმალურ რაოდენობას, რომელიც შესაძლებელს ხდის ხარისხიანი განათლების მიღებას. პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში დაგეგმილია არაუმეტეს 32 პროფესიული სტუდენტის მიღება. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” პროგრამისთვის განსაზღვრული 128 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოიყო შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც მოიცავს პროგრამის მატერიალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსებს შესაბამისი რაოდენობით. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ყველა საჭირო სასწავლო რესურსით, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განისაზღვრება დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით". შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება გადის შემდეგ ეტაპებს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭო და ამტკიცებს რექტორი. პროფესიული პროგრამა დამტკიცებულია - **2017 წლის 13 სექტემბერის N01/17/103 ბრძანებით** (ცვლილებები ბრძანებაში: N 01-25/257; 11 სექტემბერი, 2025).ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს - ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს. პროგრამაში განსაზღვრული მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს დასაქმებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულებაში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული მოდულური პროფესიული პროგრამით. იგი ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები “/ Occupational Safety and Environmental Technology. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით (,,ქართული ენა A2”და ,,ქართული ენა“ B1 მოდულები). პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგია“,
- უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების რექტორის №01-24/312 ბრძანებით (02/10/2024) - "ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით აუდიტორიების გამოყოფის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია A გარემო-1 (№214), AC გარემო- 1 (№213), B გარემო-1 (№207).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შემდეგი რაოდენობის ინვენტარით:

A გარემო-1 (№214) – 32 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 32*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 32*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *პროექტორი - 1*
- *კომპიუტერი- 1*

A გარემო- 1 (№202) – 32 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 32*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 32*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *ეკრანი - 1*
- *კომპიუტერი - 1*
- *დაფა - 1*

B გარემო-1 (№207) – 32 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 32*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 32*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 32*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*

C გარემო- 1 (№205) – 32 ადგილი , პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით აღჭურვილი

სამუშაო სივრცეები აღჭურვილია პრინტერითა და პროექტორით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კომპიუტერულ აუდიტორიას პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარიანობის უნარი. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.
ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში მიღება ხორციელდება არაუმეტეს 32 პროფესიული სტუდენტისა. ***საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან:***

- შპს ,,ექსპერტს ფორ სოლუშენს'' – 20 სტუდენტი;
- შპს აი სი პი - 3 სტუდენტი;
- შპს ჯეო სეიფთი - 13 სტუდენტი;
- შპს ქართლის ქარის ელექტროსადგური - 10 სტუდენტი;
- შპს “საფკო” - 3 სტუდენტი;
- შპს ,,კოსი'' – 14 სტუდენტი;
- შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი - 5 სტუდენტი;
- შპს ,,დეველორი“ – 7 სტუდენტი
- *შპს თაუნს ქონსთრაქშენ* - 6
- *შპს გუმბათი ჰოლდინგი* - 2
- *შპს ეიჩესი ჯგუფი* - 5
- *შპს გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია* - 20

მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მემორანდუმში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და პროფესიულ სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტრდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 44 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 14 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 29 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ: ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, მოდულების განაწილება სასწავლო გეგმაში ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას. პროგრამას დანართად ახლავს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორრმაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და დამხმარე პერსონალის შერჩევის, შესაბამის პოზიციაზე დანიშვნის, პროფესიული განვითარების საკითხებს, ასევე პოლიტიკით განსაზღვრულია მოწვეული პერსონალის (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის) საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს;
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამისად უნივერსიტეტი თავის მხრივ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდულ გადამზადებას სწავლება -სწავლის მეთოდების, პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და სხვა რელევანტური მიმართულებებით.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში. აღნიშნული გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის შენარჩუნებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის თანახელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ორივე პოზიციის სამუშაო აღწერილობები, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეებებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობებისა და პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ პოზიციები არ ფარავს ერთმანეთის ფუნქციებს - პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ხოლო პროგრამის თანახელმძრვანელი ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, ორივე პირს უდასტურდება ფუნქცია-მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ჩაწერილი მკითხველისათვის, მისთვის მინიჭებული ელექტრონული კოდის გამოყენებით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას.

ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ დოკუმენტის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით) თანახმად, მუხლი 38-ში გაწერილია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დაგეგმვა“, სადაც წარმოდგენილია შშმ და სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის გაწერის მექანიზმები, უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა, სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა, რესურსზე (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბი და სხვა) წვდომა და სასწავლო რესურსების ადაპტირება.
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათთან აღნიშნულის საჭიროება არ დამდგარა და დაწესებულებას არ აქვს შესაბამისი პრაქტიკა თუმცა გამოხატავენ მზაობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამის 2025-2026 სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 24 პროფესიული სტუდენტი. შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სახელმწიფო ვაუჩერი(ერთ სტუდენტზე 5578 ლარი) და სტუდენტის სწავლის დამატებითი საფასური(500 ლარი), ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასები და სასწავლო პროცესის უწყვეტობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით აუდიტორიების გამოყოფის შესახებ ბრძანება;
- ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები”;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებლებებთან მემორანდუმები;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
დაწესებულებაში მოქმედი „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ VIII თავის, „სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესების“ შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული სტუდენტები და სხვა).
პროგრამის განვითარების პროცესში მხედველობაში მიიღება:

- შრომის ბაზრის მოთხოვნები;
- საერთაშორისო და ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ანალოგიური პროგრამების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა უკუკავშირი;
- სხვა გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ დარგის განვითარებაზე.

პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენებთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამების განვითარებას, მონაცემთა შეგროვებას, ანალიზსა და შეფასებას. პროგრამების გაუმჯობესება-განიხილება უწყვეტი და მოქნილი პროცესის ფარგლებში, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის ცვალებად მოთხოვნებთან.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის და განხილვის პროცესი; განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე.

დაწესებულებამ წარმიოდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;
- პროფესიული განათლების სტანდარტის განახლების პროცესში პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობის მტკიცებულება.

პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო კულტურის ნაწილია და მასში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული და დაინტერესებული პირი. ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის, ადამიანური რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სხვადასხვა სერვისის პერიოდულ შეფასებასა და განვითარებას. ზემოაღნიშნულის შეფასება ეყრდნობა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით განსაზღვრულ წესებს, - „თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები".

სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმე (P), განახორციელე (D), შეამოწმე (C), განავითარე (A). პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება შემდეგი ეტაპებით: მონაცემებზე და უკუკავშირზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიღება; ცვლილებების მიზანშეწონილობის განხილვა პროგრამის ხელმძღვანელის, განმახორციელებელი პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განვითარება ეფუძნება ცვალებად გარემოზე მორგებას, ხარისხის მაღალი სტანდარტების დაცვას და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას პროფესიული განათლების სისტემაში. პროფესიული განათლების მასწავლებლის მუშაობის ეფექტიანობა, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები.
პროგრამის ცვლილებები განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- სასწავლო რესურსების დამატება, რაც უზრუნველყოფს მოდულების უკეთეს განხორციელებას და სასწავლო შედეგების მიღწევას;
- ახალი პროფესიული მასწავლებლების დამატება, მათ შორის GIPA-ს კურსდამთავრებულები, რაც ხელს უწყობს პროგრამის პრაქტიკული გამოცდილების გაძლიერებას და ხარისხის კიდევ უფრო მაღალ დონეზე უზრუნველყოფას;

აღნიშნული ცვლილებები დადებითად აისახება პროგრამის განვითარების პროცესში და ხელს უწყობს მისი შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნები და დამსაქმებელთა კმაყოფილების ანალიზი – 2025 წელი;
- ანალოგიური პროგრამების ანალიზი – 2025 წელი;
- პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების კვლევა – 2025 წელი;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების ანგარიში – 2025 წელი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასების ანალიზი – 2025 წელი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კალენდარული გეგმების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ კალენდარულ გეგმებში ზუსტად არის ასახული მოდულებში განსაზღვრული თემატიკა, რაც მიუთითებს პროგრამის შინაარსობრივ შესაბამისობაზე. ამასთან, კალენდარული გეგმა, თავისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, სასურველია მოიცავდეს უფრო დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ: კონკრეტულ სწავლის შედეგთან დაკავშირებულ სასწავლო აქტივობებს; თითოეული საკონტაქტო საათის დეტალურ აღწერას;

აღსანიშნავია, რომ კალენდარული გეგმები არ უნდა წარმოადგენდეს მოდულის ჩანაწერების პირდაპირ ასლს. თემატიკა სასურველია გაფართოვდეს და მოიცავდეს განსხვავებულ, სტუდენტზე ორიენტირებულ აქტივობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების აქტიურ ჩართულობასა და სასწავლო შედეგების მიღწევას. მნიშვნელოვანია, კალენდარულ გეგმებში გამოკვეთილად ჩანდეს პროფესიული სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაო, როგორც სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში ისინი იყენებენ უფრო მრავალფეროვან სწავლების აქტივობებს, ვიდრე ეს ფორმალურად არის ასახული კალენდარულ გეგმებში. ამასთან, დამოუკიდებელი საათების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული დავალებები, მოსამზადებელი სემინარები და დამატებითი აქტივობები, რაც ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის ზრდასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის რეალური განხორციელება შინაარსობრივად აღემატება დოკუმენტურად აღწერილ ნაწილს, თუმცა სასურველია ეს მრავალფეროვანი აქტივობები სრულად აისახოს კალენდარულ გეგმებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის გამჭვირვალობა და შესაბამისობა დოკუმენტურ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა განვითარების რეკომენდაცია
პროფესიული განათლების დეპარტამენტმა შეიმუშაოს კალენდარული გეგმების შედგენის მეთოდოლოგიური მითითებები პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას, ერთობლივ სტანდარტიზაციას და ხარისხის გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე
დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესი ხორციელდება ცვლებში. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ჯგუფების განაწილების დროს ხდება სტუდენტთა საჭიროებების მოკვლევა და შესაბამისი სასწავლო ცვლის შეთავაზება. გარდა ამისა სტუდენტებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მათ უწევს შესაბამის მხარდაჭერას და გადაცემს სწავლისთვის საჭირო ტექნიკურ მოწყობილობებს დროებით სარგებლობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას
სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე გარემოში შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, კეთება ინსტრუქტაჟით. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე მოწყობილობები, აპარატურა და ინვენტარი რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები
დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც წარმოიქმნა სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან:

- შპს ,,ექსპერტს ფორ სოლუშენს'' – 20 სტუდენტი;
- შპს აი სი პი - 3 სტუდენტი;
- შპს ჯეო სეიფთი - 13 სტუდენტი;
- შპს ქართლის ქარის ელექტროსადგური - 10 სტუდენტი;
- შპს “საფკო” - 3 სტუდენტი;
- შპს ,,კოსი'' – 14 სტუდენტი;
- შპს საქართველოს ტელერადიოცენტრი - 5 სტუდენტი;
- შპს თაუნს ქონსთრაქშენ - 6
- შპს გუმბათი ჰოლდინგი - 2
- შპს ეიჩესი ჯგუფი - 5
- შპს გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია - 20

მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტები **საწარმოო პრაქტიკას** გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მემორანდუმში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდგომ კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტებთან იდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის დაწყების და დასრულების თარიღები, პროფესიულ სტუდენტთა სია, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხები და ა.შ.

მემორანდუმები განახლებულია მიმდინარე წელს, თანამშრომლობის ხანგძლივობა შეადგენს 5 წელს. თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და კერძო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ერთის მხრივ უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარჩვევების განვითარების და მეორე მხრივ ორგანიზაციაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლეთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეკითხვები, რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულებების წარმომადგენლების მხრიდან დადასტურდა, რომ ისინი შეუფერხებლად ახორციელებენ აღნიშნული პროგრამის საწარმოო პრაქტიკის მოდულს, განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა და უზუსტობა არ გამოვლენილა, მათი მხრიდან იგეგმება პრაქტიკის კომპონენტზე მისაღების სტუდენტების რაოდენობის გაზრდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, პრაქტიკის ობიექტზე კი სპეციფიური უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს განსაზღვრავს მოდულის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი და ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული სწავლების კოორდინატორთან. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გონივრულ ვადაში მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მოდულის მასწავლებელთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთხელ. დოკუმენტით ასევე გაწერილია შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულრებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

„უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“ მოიცავს ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ მიდგომებს და წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: ა) ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; ბ) პროცესის ვერიფიკაცია; გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს დაწესებულებაში რექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ჯგუფის თავმჯდომარე და ჯგუფის წევრები. პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი განსაზღვრავს სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ვერიფიკაციის პერიოდს (არანაკლებ წელიწადში ერთხელ). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის გზით დადგენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი წერილობით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულის განმახორციელებელ მასწავლებლს შემდგომი რეაგირების მიზნით. დაწესებულებაში შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმი ითვალისწინებს ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში პროცესზე და განხორციელებაზე პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხს, ასევე ვერიფიკაციის დასკვნის მომზადებას. დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 და 2025 წელს ჩატარებული ვერიფიკაციის შედეგები, ვერიფიკაცია განხორციელდა სამი მიმართულებით: შეფასების ინსტუმენტის, პროცესის და მტკიცებულების ვერიფიკაცია. დოკუმენტების ანალიზით დასტურდება რომ შეფასების მტკიცებულებები შეირჩა დაწესებულების მიერ შემუშავებული რისკების სქემის შესაბამისად, მაგ. დამწყები მასწავლებელი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე და სხვა. ვერიფიკაციის ანგარიშებში ასახულია რომ ძირითადად რეკომენდაციები ეხება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტების რიგი კომპონენტების ჩანაწერების დაზუსტებას. ვერიფიკაციის შედეგებით შეფასების სისტემა შეფასებულია როგორც ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ 103 მუხლის შესბამისად, პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგების გაფორმება ხორციელდება უწყისით, უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში (PORTAL.GIPA.GE), რომელიც დეტალურ ინფორმაციას ინახავს როგორც შეფასებასთან, ასევე მთლიანად სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მტკიცებულებების დაცვასა და შენახვას სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. უწყისები ინახება უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში მუდმივად. ინფორმაციის მიღება შეუძლიათ როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე პერსონალს, ვისაც აქვს წვდომა საკუთარ მონაცემებზე.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ მიხედვით დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. შუალედური შეფასება კი წარმოადგენს ჰოლისტურ შეფასებას, რადგან იგი ეფუძნება პროფესიული სტუდენტის საერთო აკადემიური და პრაქტიკული პროგრესის მთლიან სურათს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებების/დადასტურებების მონიტორინგი ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში. დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ვერიფიკაციის შედეგები;
- შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

I.ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია განახლებადი ენერგიების მენეჯმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 20 ივნისის N 01-24/213 ბრძანება (ცვლილება პროგრამაში ბრძანება N 01-25/258; 11 სექტემბერი, 2025 წელი)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	96, კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1.საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1.პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

GIPA-ს მისიაა თანამედროვე ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება ახალი თაობის პროფესიონალების აღსაზრდელად. დაარსების დღიდან, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიული ღირებულებების ერთგული უნივერსიტეტი, GIPA ამზადებს სპეციალისტებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ დემოკრატიული საზოგადოების და სახელმწიფოს მშენებლობაში.

GIPA იზიარებს საქართველოს მთავრობისა და განათლების სისტემის გაცხადებულ პოლიტიკას პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, რაც ნათლად აისახება უნივერსიტეტის 2024–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სადაც პროფესიული განათლება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული. ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს მრავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ხარისხიანი განათლების შეთავაზების კუთხით და იგი მუდმივად რეაგირებს ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, GIPA ერთ-ერთი პირველი იყო კერძო უნივერსიტეტებს შორის, რომელმაც აკადემიური პროგრამების პარალელურად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ინოვაციურ, შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რითაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში პროფესიული განათლების განვითარებას. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, უნივერსიტეტმა დაგეგმა ახალი პროფესიული მიმართულებების დამატება, მათ შორის ენერგეტიკის სფეროში.

USAID-ის პროგრამის – „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ მხარდაჭერით, GIPA-მ წარმატებით განახორციელა პროექტი: „განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხორციელება და ინსტიტუციონალიზაცია GIPA-ში“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შემუშავდა „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული უნარების სააგენტოს კოორდინაციით, დარგობრივი უნარების ორგანიზაციისა და დამსაქმებლების აქტიური მონაწილეობით.

პროგრამა სრულ თანხვედრაშია GIPA-ს მისიასთან, რომელიც აკადემიური ცოდნის პარალელურად, სტუდენტებისთვის პრაქტიკული პროფესიული უნარების განვითარებას ითვალისწინებს. უნივერსიტეტის 2024–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2024–2026 წლების სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ინოვაციური, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაზე. აღნიშნულ დოკუმენტებში პირდაპირ არის განსაზღვრული „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ უმაღლესი პროფესიული პროგრამის განვითარება, რომლის განხორციელების უფლება GIPA-მ 2024 წელს მოიპოვა.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მიმდინარე რეფორმა, რომელიც უკავშირდება ქვეყნის ვალდებულებებს ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში, ითვალისწინებს განახლებადი ენერგიების წახალისებას, ენერგეტიკული ბაზრის გაძლიერებას და კვალიფიციური კადრების მომზადებას. სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები პირდაპირ მიუთითებს ენერგეტიკის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების დეფიციტსა და პროფესიული კადრების მწვავე საჭიროებაზე.

საქართველოს 2023–2030 წლების ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის პუნქტი „ენერგეტიკული განათლების ხელშეწყობა“ ხაზგასმით აღიარებს თანამედროვე პროფესიული პროგრამების აუცილებლობას და განსაზღვრავს პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვას განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით. აღნიშნულ პროცესს წინ უძღოდა GIPA-ს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კონსულტაციები დარგის ექსპერტებთან, დამსაქმებლებთან და სახელმწიფო უწყებებთან, რის შედეგადაც გამოიკვეთა საკვალიფიკაციო, გრძელვადიანი უმაღლესი პროფესიული პროგრამის შექმნის აუცილებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ პროგრამის კვალიფიკაცია სრულად პასუხობს ჰიდროენერგეტიკის, ქარის, მზის, გეოთერმული და ბიომასის ენერგეტიკის სექტორებში არსებულ საკადრო დეფიციტს. შრომის ბაზრის კვლევები ადასტურებს, რომ ენერგეტიკის სექტორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და მაღალანაზღაურებადი სფეროა, სადაც ვაკანსიების მნიშვნელოვანი ნაწილი შეუვსებელი რჩება სწორედ კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო.

ზემოაღნიშნული კვლევების, სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების, დამსაქმებელთა მოთხოვნებისა და დარგის ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე დასტურდება, რომ „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის“ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის დროული, მოთხოვნადი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი როგორც GIPA-სთვის, ისე ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემისა და ენერგეტიკული სექტორის განვითარებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგები სრულად პასუხობს შრომის ბაზარზე არსებულ და პროგნოზირებად მოთხოვნებს შესაბამის უნარებსა და კომპეტენციებზე და ქმნის მყარ საფუძველს კვალიფიციური პროფესიონალების მომზადებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით“. აღნიშნულ დოკუმენტის მეათე თავში - „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის წესები“ გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დაინტერესებული პირი უნდა იყოს მინიმუმ 18 წლის ასაკის და ფლობდეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. ამასთან, აპლიკანტს მოეთხოვება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების წარმატებით ჩაბარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2019 წლის N 01/19 ოქმით. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული პროგრამის სპეციფიკას, უნივერსიტეტის რესურსებს და განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა იმ ოპტიმალურ რაოდენობას, რომელიც შესაძლებელს ხდის ხარისხიანი განათლების მიღებას. პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც მოიცავს პროგრამის მატერიალურ რესურსებს შესაბამისი რაოდენობით. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ყველა საჭირო სასწავლო რესურსით, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განისაზღვრება დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით“. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება გადის შემდეგ ეტაპებს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭო და ამტკიცებს რექტორი. პროფესიული პროგრამა განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 20 ივნისის N 01-24/213 ბრძანება (ცვლილება პროგრამაში ბრძანება N 01-25/258; 11 სექტემბერი, 2025 წელი). ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

განახლებადი ენერგიების მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის – „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ – საფუძველზე. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია განახლებადი ენერგიების მენეჯმენტში. პროგრამის სახელწოდება სრულად იმეორებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებას. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შეესაბამება მის შინაარსს და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და დაინტერესებული პირებისთვის არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

უსდ-ში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად არის შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის – „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ საფუძველზე . პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით („ქართული ენა A2"და „ქართული ენა" B1 მოდულები). პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი";
- „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგია";
- უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება.
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით
„განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების რექტორის №01-24/312 ბრძანებით (02/10/2024) - “ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით აუდიტორიების გამოყოფის შესახებ” საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია

A გარემო
ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღწურვილია შემდეგი რაოდენობის ინვენტარით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A გარემო-– 32 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 32*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 32*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *პროექტორი - 1*
- *კომპიუტერი- 1*

C გარემო- – 32 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 32*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 32*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *ეკრანი - 1*
- *კომპიუტერი - 1*
- *დაფა - 1*
- ***პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით აღჭურვილი***

B გარემო-1 (№207) – 32 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 32*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 32*
- *პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 32*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*

სამუშაო სივრცეები აღჭურვილია პრინტერითა და პროექტორით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კომპიუტერულ აუდიტორიას პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარიანობა . ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.
ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 3 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში მიღება ხორციელდება არაუმეტეს 32 პროფესიული სტუდენტისა. ***საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან:***

● შპს “აჭარისწყალი ჯორჯია” - 48 პროფესიული სტუდენტი;
● შპს “ესკო-ეს-ის”– 32 პროფესიული სტუდენტი;
● სს “საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები” – 48 პროფესიული სტუდენტი;
● შპს „ენგურჰესი“ - – 34 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

● შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“ – 32 პროფესიული სტუდენტი;

მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში მოდულების: ჰიდროენერგეტიკული პროფექტები და ქარის ენერგიის პროექტების ფარგლებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მემორანდუმში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და პროფესიულ სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას გასაუბრებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ (მეხუთე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 35 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები.

მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ: ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას. პროგრამას დანართად ახლავს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორრმაცია. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და დამხმარე პერსონალის შერჩევის, შესაბამის პოზიციაზე დანიშვნის, პროფესიული განვითარების საკითხებს, ასევე პოლიტიკით განსაზღვრულია მოწვეული პერსონალის (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის) საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ (მეხუთე დონე) დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს;
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამისად უნივერსიტეტი თავის მხრივ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდულ გადამზადებას სწავლება სწავლის მეთოდების, პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და სხვა რელევანტური მიმართულებებით.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში. აღნიშნული გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის შენარჩუნებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი
დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის თანახელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ორივე პოზიციის სამუშაო აღწერილობები, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეებებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობებისა და პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ პოზიციები არ ფარავს ერთმანეთის ფუნქციებს - პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ხოლო პროგრამის თანახელმძრვანელი ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, ორივე პირს უდასტურდება ფუნქცია-მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ (მეხუთე დონე) მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ჩაწერილი მკითხველისათვის, მისთვის მინიჭებული ელექტრონული კოდის გამოყენებით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას.

ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ დოკუმენტის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით) თანახმად, მუხლი 38-ში გაწერილია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დაგეგმვა“, სადაც წარმოდგენილია შშმ და სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის გაწერის მექანიზმები, უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა, სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა, რესურსზე (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბი და სხვა) წვდომა და სასწავლო რესურსების ადაპტირება.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათთან აღნიშნულის საჭიროება არ დამდგარა და დაწესებულებას არ აქვს შესაბამისი პრაქტიკა თუმცა გამოხატავენ მზაობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროფესიულ პროგრამის 2025-2026 სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 24 პროფესიული სტუდენტი. შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სახელმწიფო ვაუჩერი (ერთ სტუდენტზე 5578 ლარი) და სტუდენტის სწავლის დამატებითი საფასური(500 ლარი), ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასები და სასწავლო პროცესის უწყვეტობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით აუდიტორიების გამოყოფის შესახებ ბრძანება;
- ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ ;
- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებლებებთან მემორანდუმები;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
4. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

GIPA-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების პროცესი მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლების ჩართულობასა და ასევე საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლას და მიღებული შედეგები აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ USAID-ს პროგრამის "დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" ფინანსური მხარდაჭერითა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილი ენერგეტიკის დარგობრივი ორგანიზაციის ჩართულობით, GIPA-ს მიერ მომზადდა ენერგეტიკის სექტორული რუკა, რაც საფუძვლად დაედო პროგრამის შემუშავების პროცესს. დარგის ექსპერტების ჩართულობით მოხდა მიმდინარე საგანმანათლებლო ლანდშაფტის ანალიზი, განისაზღვრა სფეროები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას და ახალი მიდგომების დანერგვას, რომელიც ენერგოეფექტური პრაქტიკების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს მომავალში. პროგრამის დიზაინი ითვალისწინებს თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებსა და ციფრული ხელსაწყოების გამოყენებას სასწავლო პროცესში. პროგრამაში ინტეგრირებულია რეალურ სივრცეში გამოყენებადი ტექნოლოგიები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი და პროფესიული, დარგობრივი სასწავლო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო გამოცდილების გაუმჯობესებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო კულტურის ნაწილია და მასში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული და დაინტერესებული პირი. ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის, ადამიანური რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და უნივერსიტეტის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიწოდებული სხვადასხვა სერვისის პერიოდულ შეფასებასა და განვითარებას. ზემოაღნიშნულის შეფასება ეყრდნობა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით განსაზღვრულ წესებს, - „თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები".

სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმე (P), განახორციელე (D), შეამოწმე (C), განავითარე (A). პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება შემდეგი ეტაპებით: მონაცემებზე და უკუკავშირზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიღება; ცვლილებების მიზანშეწონილობის განხილვა პროგრამის ხელმძღვანელის, განმახორციელებელი პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება.

პროგრამის განვითარება ეფუძნება ცვალებად გარემოზე მორგებას, ხარისხის მაღალი სტანდარტების დაცვას და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას პროფესიული განათლების სისტემაში. პროფესიული განათლების მასწავლებლის მუშაობის ეფექტიანობა, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები.

პროგრამის ცვლილებები განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- პრაქტიკის ობიექტების დამატება, რაც უზრუნველყოფს მოდულების უკეთეს განხორციელებას და სასწავლო შედეგების მიღწევას;
- ახალი პროფესიული მასწავლებლების დამატება, რაც ხელს უწყობს პროგრამის პრაქტიკული გამოცდილების გაძლიერებას და ხარისხის კიდევ უფრო მაღალ დონეზე უზრუნველყოფას;

აღნიშნული ცვლილებები დადებითად აისახება პროგრამის განვითარების პროცესში და ხელს უწყობს მისი შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნები და დამსაქმებელთა კმაყოფილების ანალიზი – 2025 წელი;
- ანალოგიური პროგრამების ანალიზი – 2025 წელი;
- პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების კვლევა – 2025 წელი;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების ანგარიში – 2025 წელი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასების ანალიზი – 2025 წელი.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“** სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კალენდარული გეგმების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ კალენდარულ გეგმებში ზუსტად არის ასახული მოდულებში განსაზღვრული თემატიკა, რაც მიუთითებს პროგრამის შინაარსობრივ შესაბამისობაზე. ამასთან, კალენდარული გეგმა, თავისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, სასურველია მოიცავდეს უფრო დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ: კონკრეტულ სწავლის შედეგთან დაკავშირებულ სასწავლო აქტივობებს; თითოეული საკონტაქტო საათის დეტალურ აღწერას;

აღსანიშნავია, რომ კალენდარული გეგმები არ უნდა წარმოადგენდეს მოდულის ჩანაწერების პირდაპირ ასლს. თემატიკა სასურველია გაფართოვდეს და მოიცავდეს განსხვავებულ, სტუდენტზე ორიენტირებულ აქტივობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების აქტიურ ჩართულობასა და სასწავლო შედეგების მიღწევას. მნიშვნელოვანია, კალენდარულ გეგმებში გამოკვეთილად ჩანდეს პროფესიული სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაო, როგორც სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში ისინი იყენებენ უფრო მრავალფეროვან სწავლების აქტივობებს, ვიდრე ეს ფორმალურად არის ასახული კალენდარულ გეგმებში. ამასთან, დამოუკიდებელი საათების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული დავალებები, მოსამზადებელი სემინარები და დამატებითი აქტივობები, რაც ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის ზრდასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის რეალური განხორციელება შინაარსობრივად აღემატება დოკუმენტურად აღწერილ ნაწილს, თუმცა სასურველია ეს მრავალფეროვანი აქტივობები სრულად აისახოს კალენდარულ გეგმებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის გამჭვირვალობა და შესაბამისობა დოკუმენტურ მოთხოვნებთან.
ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა განვითარების რეკომენდაცია
პროფესიული განათლების დეპარტამენტმა შეიმუშაოს კალენდარული გეგმების შედგენის მეთოდოლოგიური მითითებები პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას, ერთობლივ სტანდარტიზაციას და ხარისხის გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე
დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესი ხორციელდება ცვლებში. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ჯგუფების განაწილების დროს ხდება სტუდენტთა საჭიროებების მოკვლევა და შესაბამისი სასწავლო ცვლის შეთავაზება.
გარდა ამისა სტუდენტებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მათ უწევს შესაბამის მხარდაჭერას და გადაცემს სწავლისთვის საჭირო ტექნიკურ მოწყობილობებს დროებით სარგებლობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას
სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე გარემოში შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, კეთება ინსტრუქტაჟით. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე მოწყობილობები, აპარატურა და ინვენტარი რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც წარმოიქმნა სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან:

- შპს "აჭარისწყალი ჯორჯია" - 48 პროფესიული სტუდენტი;
- შპს "ესკო-ეს-ის"– 32 პროფესიული სტუდენტი;
- სს "საქართველოს განახლებადი ენერგიის ოპერაციები" – 48 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ენგურჰესი" - – 34 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია" – 32 პროფესიული სტუდენტი;

მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში მოდუბის: ჰიდროენერგეტიკული პროფექტები და ქარის ენერგიის პროექტების ფარგლებში.

ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდგომ კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტებთან იდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის დაწყების და დასრულების თარიღები, პროფესიულ სტუდენტთა სია, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხები და ა.შ.

კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მემორანდუმში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.
თანამშრომლობის ხანგძლივობა შეადგენს არანაკლებ 5 წელს. თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და კერძო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ერთის მხრივ უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარჩვევების განვითარების და მეორე მხრივ ორგანიზაციაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლეთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები, რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულებების წარმომადგენლების მხრიდან დადასტურდა, რომ ისინი შეუფერხებლად ახორციელებენ აღნიშნული პროგრამის შესაბამის მოდულებს, განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა და უზუსტობა არ გამოვლენილ**ა.**

განმავითარებელი რეკომენდაცია:
მეტი დარგობრივი სეგმენტების დაფარვის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა: სამედიცინო, სოფლის მეურნეობის (მეღვინეობა, მეფრინველეობა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები და სხვა), ტრანსპორტი (სახმელეთო, საზღვაო, სავიაციო და სარკინიგზო), ლოგისტიკური ცენტრები და სხვა, რამდენადაც, ამ სექტორებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიიდან კლიმატის ცვლილების გამომწვევი სითბური გაზების ემისიების შემცირებაში და/ან კლიმატის ცვლილებასთან იმ სექტორების ადაპტაციაში, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ მოითხოვს განსაკუთრებული ან სპეციფიკური უსაფრთხოების პირობების შექმნას ან დაცვას. პროგრამის განხორციელება ექვემდებარება დაწესებულებაში მოქმედ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესებს, მათ შორის: ელექტროუსაფრთხოების, ეკრანიან მოწყობილობებთან მუშაობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისა და პირველადი დახმარების წესებს.

რაც შეეხება პროგრამის მოდულებში ინტეგრირებულ პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, შესაბამის ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ვალდებულება, რომლის მიხედვითაც პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პრაქტიკის განხორციელების ადგილზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
- საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს განსაზღვრავს მოდულის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი და ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული სწავლების კოორდინატორთან. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გონივრულ ვადაში მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მოდულის მასწავლებელთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთხელ. დოკუმენტით ასევე გაწერილია შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულრებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.
პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს
„უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“ მოიცავს ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ მიდგომებს და წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: ა) ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; ბ) პროცესის ვერიფიკაცია; გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს დაწესებულებაში რექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ჯგუფის თავმჯდომარე და ჯგუფის წევრები. პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი განსაზღვრავს სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ვერიფიკაციის პერიოდს (არანაკლებ წელიწადში ერთხელ). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის გზით დადგენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი წერილობით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულის განმახორციელებელ მასწავლებლს შემდგომი რეაგირების მიზნით. დაწესებულებაში შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმი ითვალისწინებს ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში პროცესზე და განხორციელებაზე პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხს, ასევე ვერიფიკაციის დასკვნის მომზადებას. დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 და 2025 წელს ჩატარებული ვერიფიკაციის შედეგები, ვერიფიკაცია განხორციელდა სამი მიმართულებით: შეფასების ინსტუმენტის, პროცესის და მტკიცებულების ვერიფიკაცია. დოკუმენტების ანალიზით დასტურდება რომ შეფასების მტკიცებულებები შეირჩა დაწესებულების მიერ შემუშავებული რისკების სქემის შესაბამისად, მაგ. დამწყები მასწავლებელი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე და სხვა. ვერიფიკაციის ანგარიშებში ასახულია რომ ძირითადად რეკომენდაციები ეხება შეფასების ინსტრუმენტების რიგი კომპონენტების ჩანაწერების დაზუსტებას. ვერიფიკაციის შედეგებით შეფასების სისტემა შეფასებულია როგორც ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ 103 მუხლის შესბამისად, პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგების გაფორმება ხორციელდება უწყისით, უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში (PORTAL.GIPA.GE), რომელიც დეტალურ ინფორმაციას ინახავს როგორც შეფასებასთან, ასევე მთლიანად სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მტკიცებულებების დაცვასა და შენახვას სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. უწყისები ინახება უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში მუდმივად. ინფორმაციის მიღება შეუძლიათ როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე პერსონალს, ვისაც აქვს წვდომა საკუთარ მონაცემებზე.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ მიხედვით დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.
განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. შუალედური შეფასება კი წარმოადგენს ჰოლისტურ შეფასებას, რადგან იგი ეფუძნება პროფესიული სტუდენტის საერთო აკადემიური და პრაქტიკული პროგრესის მთლიან სურათს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებების/დადასტურებების მონიტორინგი ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში. დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები
- ვერიფიკაციის შედეგები;
- შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

I.ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ენერგომენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 20 ივნისის N 01-24/212 ბრძანებით (ცვლილება პროგრამაში ბრძანება N01-25/261; 2025 წლის 12 სექტემბერი)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N22ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	96, კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

III. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1.საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1.პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

GIPA-ს მისიაა თანამედროვე ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება ახალი თაობის პროფესიონალების აღსაზრდელად. დაარსების დღიდან, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიული ღირებულებების ერთგული უნივერსიტეტი, GIPA ამზადებს სპეციალისტებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ დემოკრატიული საზოგადოების და სახელმწიფოს მშენებლობაში.

GIPA იზიარებს საქართველოს მთავრობისა და განათლების სისტემის გაცხადებულ პოლიტიკას პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, რაც ნათლად აისახება უნივერსიტეტის 2024–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სადაც პროფესიული განათლება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული. ჯიპა – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს მრავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ხარისხიანი განათლების შეთავაზების კუთხით და იგი მუდმივად რეაგირებს ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, GIPA ერთ-ერთი პირველი იყო კერძო უნივერსიტეტებს შორის, რომელმაც აკადემიური პროგრამების პარალელურად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ინოვაციურ, შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რითაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში პროფესიული განათლების განვითარებას. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, უნივერსიტეტმა დაგეგმა ახალი პროფესიული მიმართულებების დამატება, მათ შორის ენერგეტიკის სფეროში.

USAID-ის პროგრამის – „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ მხარდაჭერით, GIPA-მ წარმატებით განახორციელა პროექტი: „განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხორციელება და ინსტიტუციონალიზაცია GIPA-ში“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შემუშავდა „ენერგომენეჯმენტის“ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული უნარების სააგენტოს კოორდინაციით, დარგობრივი უნარების ორგანიზაციისა და დამსაქმებლების აქტიური მონაწილეობით.

პროგრამა სრულ თანხვედრაშია GIPA-ს მისიასთან, რომელიც აკადემიური ცოდნის პარალელურად, სტუდენტებისთვის პრაქტიკული პროფესიული უნარების განვითარებას ითვალისწინებს. უნივერსიტეტის 2024–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2024–2026 წლების სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ინოვაციური, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაზე. აღნიშნულ დოკუმენტებში პირდაპირ არის განსაზღვრული „ენერგომენეჯმენტის“ უმაღლესი პროფესიული პროგრამის განვითარება, რომლის განხორციელების უფლება GIPA-მ 2024 წელს მოიპოვა.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მიმდინარე რეფორმა, რომელიც უკავშირდება ქვეყნის ვალდებულებებს ენერგეტიკული გაერთიანების წევრობის ფარგლებში, ითვალისწინებს განახლებადი ენერგიების წახალისებას, ენერგეტიკული ბაზრის გაძლიერებას და კვალიფიციური კადრების მომზადებას. სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები პირდაპირ მიუთითებს ენერგეტიკის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების დეფიციტსა და პროფესიული კადრების მწვავე საჭიროებაზე.

საქართველოს 2023–2030 წლების ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის პუნქტი „ენერგეტიკული განათლების ხელშეწყობა“ ხაზგასმით აღიარებს თანამედროვე პროფესიული პროგრამების აუცილებლობას და განსაზღვრავს პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვას განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით. აღნიშნულ პროცესს წინ უძღოდა GIPA-ს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კონსულტაციები დარგის ექსპერტებთან, დამსაქმებლებთან და სახელმწიფო უწყებებთან, რის შედეგადაც გამოიკვეთა საკვალიფიკაციო, გრძელვადიანი უმაღლესი პროფესიული პროგრამის შექმნის აუცილებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ბოლო წლებში განხორციელებული უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით ვაკანსიების შევსების პრობლემა ყველაზე მწვავედ ენერგეტიკის სექტორში გამოვლინდა – გამოცხადებული ვაკანსიების 25% შეუვსებელი დარჩა. ამავე კვლევის თანახმად, მომდევნო ხუთი წლის პროგნოზით, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების მიმართულებით საწარმოები დასაქმებულთა რაოდენობის საშუალოდ 14%-იან ზრდას ელიან.

ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით დასაქმებულთა განაწილებაში ენერგეტიკის სექტორზე მოდის დასაქმებულთა 2%. ამასთან, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საპენსიო ასაკს მიღწეული დასაქმებულების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (21%) სწორედ ენერგეტიკის სექტორში ფიქსირდება, რაც მიუთითებს არსებული კადრების ეტაპობრივი ჩანაცვლების აუცილებლობაზე. კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ საწარმოთა 50%-ს გააჩნია სტრატეგია, რომელიც თანამშრომელთა გადამზადებას ითვალისწინებს ენერგეტიკის სექტორში, თუმცა გამოკითხვის მომენტისთვის გადამზადებული იყო დასაქმებულთა მხოლოდ 8%. ამავე დროს, კვლევა არ ასახავს მონაცემებს ენერგეტიკის სექტორში მენეჯერული კვალიფიკაციის მიმართულებით გადამზადებულ პირთა რაოდენობის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხული საწარმოების 67%-ს შესაბამის პოზიციაზე პროფესიული განათლების მქონე დასაქმებული არ ჰყავს. მიუხედავად ამისა, იმ საწარმოთა მაღალი წილი, სადაც პროფესიული განათლების მქონე კადრები არიან დასაქმებულნი, სწორედ ენერგეტიკის სექტორზე მოდის (58%). ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით, ენერგეტიკის სექტორში დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურება მეორე ადგილზეა ყველაზე მაღალანაზღაურებად სექტორებს შორის (2 323 ლარი), საფინანსო სექტორის შემდეგ (2 439 ლარი). პროფესიული განათლების საჭიროების ყველაზე მაღალი წილი ფიქსირდება სხვა სახის მომსახურების სექტორში (63%), რასაც მოსდევს ენერგეტიკა (48%).
დამატებით, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმა (იხილეთ მტკიცებულება №4) განსაზღვრავს კონკრეტულ ამოცანებს, მათ შორის:

- შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სისტემის შექმნას;
- მომხმარებელთა ინფორმირებულობის ამაღლებას ენერგოეფექტურობის საკითხებში;
- ენერგოეფექტური მიდგომებისა და განათების დანერგვის წახალისებას;
- მზის ენერგიაზე დაფუძნებული წყლის გამაცხელებლებისა და ენერგოეფექტური ღუმელების გამოყენების ხელშეწყობას;
- ენერგოეფექტურობის სფეროში მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე კადრების მომზადებას.

აღნიშნული ამოცანების შესრულება კერძო და საჯარო სექტორების ერთობლივ ჩართულობასა და კვალიფიციური კადრების არსებობას მოითხოვს. შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც სწავლის შედეგების, პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით სრულად დააკმაყოფილებენ შრომის ბაზარზე წარმოქმნილ მოთხოვნებს, მათ შორის მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პირობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ფუნქციონირებს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიების პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტი, რაც დამატებით ზრდის შესაბამისი პროფილის სპეციალისტებზე მოთხოვნას, განსაკუთრებით სამინისტროს რეგულირების სფეროში მოქმედ კომპანიებში. ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა , რომელიც 2030 წლისთვის განსაზღვრავს სათბურის გაზების შემცირების, განახლებადი ენერგიის წარმოების ზრდისა და ენერგოეფექტურობის გაძლიერების მიზნებს, რაც დარგში კვალიფიციური სპეციალისტების აუცილებლობას კიდევ უფრო ამყარებს.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, ააიპ საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციისა და ააიპ „ენერგოეფექტურობის სახლის“ ინიციატივით, პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, 2023 წელს შეიქმნა ენერგეტიკის სფეროში დარგობრივი უნარების საინიციატივო ჯგუფი („ენერგეტიკის დუო“). დარგის ექსპერტების, პოტენციური დამსაქმებლებისა და GIPA-ს აქტიური ჩართულობით შემუშავდა ენერგომენეჯმენტის პროფესიის სტანდარტი და მის საფუძველზე – შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა ახალი კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში, რაც მანამდე პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში არ არსებობდა.

დარგის ექსპერტებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის საფუძველზე გამოიკვეთა მენეჯერული კომპეტენციების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც განპირობებულია როგორც საკანონმდებლო მოთხოვნებით, ისე სექტორის განვითარების ტენდენციებით. შესაბამისად, ჩამოყალიბდა „ენერგომენეჯერის“ ახალი კვალიფიკაცია, რომელიც შეფასებულია როგორც დროული და მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცისთვის აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია 2025 წელსაც, რასაც ადასტურებს GIPA-ს მიერ გამოკითხულ დამსაქმებელთა შეფასებები.

საქართველოს ენერგოეფექტურობისა და შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონების ამოქმედება და დაგეგმილი ცვლილებები ქმნის დამატებით მოთხოვნას ისეთ პროფესიებზე, როგორიცაა ენერგომენეჯერი, ენერგოაუდიტორი და ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სპეციალისტი. შესაბამისად, ენერგომენეჯერის უმაღლესი პროფესიული პროგრამა სრულად პასუხობს შრომის ბაზარზე არსებულ საკადრო დეფიციტს და მოიცავს იმ უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა საჭიროებაც წარმოშობილია როგორც მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებით, ისე ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიების სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით“. აღნიშნულ დოკუმენტის მეათე თავში - „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის წესები“ გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დაინტერესებული პირი უნდა იყოს მინიმუმ 18 წლის ასაკის და ფლობდეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. ამასთან, აპლიკანტს მოეთხოვება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების წარმატებით ჩაბარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგიით“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2019 წლის N 01/19 ოქმით. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიული პროგრამის სპეციფიკას, უნივერსიტეტის რესურსებს და განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა იმ ოპტიმალურ რაოდენობას, რომელიც შესაძლებელს ხდის ხარისხიანი განათლების მიღებას. პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A და B ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც მოიცავს პროგრამის მატერიალურ რესურსებს შესაბამისი რაოდენობით. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ყველა საჭირო სასწავლო რესურსით, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტის“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განისაზღვრება დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით“. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება გადის შემდეგ ეტაპებს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭო და ამტკიცებს რექტორი. პროფესიული პროგრამა „ენერგომენეჯმენტის“ დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 20 ივნისის N01-24/212 ბრძანებით (ცვლილება პროგრამაში ბრძანება N01-25/261; 2025 წლის 12 სექტემბერი). ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

ენეგრომენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის – „ენერგომენეჯმენტის“ – საფუძველზე. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში. პროგრამის სახელწოდება სრულად იმეორებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირებას. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შეესაბამება მის შინაარსს და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და დაინტერესებული პირებისთვის არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსდ-ში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად არის შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის – „ენერგომენეჯმენტი“. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით („ქართული ენა A2”და „ქართული ენა“ B1 მოდულები). პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი“ ;
- „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგია“;
- უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „ენერგომენეჯმენტი“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

„ენერგომენეჯმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების რექტორის №01-24/312 ბრძანებით (02/10/2024) - "ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით აუდიტორიების გამოყოფის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად შემოწმების შედეგადდადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შემდეგი რაოდენობის ინვენტარით:

A გარემო— 32 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 32*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 32*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *პროექტორი - 1*
- *კომპიუტერი- 1*

AC გარემო- — 32 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 32*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 32*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *ეკრანი - 1*
- *კომპიუტერი - 1*
- *დაფა - 1*

B გარემო-1 (№207) – 32 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 32*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 32*
- *პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 32*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*

სამუშაო სივრცეები აღჭურვილია პრინტერითა და პროექტორით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ კომპიუტერულ აუდიტორიას პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარიანობის უნარი. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.

ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „ენერგომენეჯმენტი" პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 3 ჯგუფში, თითოეულ ჯგუფში მიღება ხორციელდება არაუმეტეს 32 პროფესიული სტუდენტისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო დაწესებულებას პრაქტიკის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან:

- შპს "ოპტიმალ გრუპი +" – 24 პროფესიული სტუდენტი;
- შპს "ექსპერტს ფორ სოლუშენს" – 24 პროფესიული სტუდენტი;
- შპს "სიბიდი დეველოპმენტი" – 24 პროფესიული სტუდენტი;
- შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი" 24 პროფესიული სტუდენტი;
- შპს "ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი" – 24 პროფესიული სტუდენტი;
- სს "კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია"– 24 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „წინანდლის ძველი მარანი" – 32 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „აჩინებული" – 32 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ბლაუენშტაინ საქართველო"– 32 პროფესიული სტუდენტი;

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი რესურსები სრულად არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ბაზაზე. რაც შეეხება პარტნიორი ორგანიზაციების როლს პრაქტიკული სწავლების პროცესში, დაწესებულებისა და შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ პრაქტიკის განხორციელება ძირითადად მოიცავს სტუდენტებისთვის გაცნობით სასწავლო ვიზიტებს. აღნიშნული სასწავლო ვიზიტების მიზანია პროფესიული სტუდენტებისათვის რეალურ სამუშაო გარემოში პროფესიული საქმიანობის, ტექნოლოგიური პროცესებისა და ორგანიზაციული პრაქტიკის გაცნობა. ვიზიტები ხელს უწყობს დაწესებულებაში თეორიული და პრაქტიკული სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გააზრებას და რეალურ სამუშაო გარემოში უნარების რეალიზების შესაძლებლობის შექმნას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის "ენერგომენეჯმენტი" (მეხუთე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებს მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 13 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები.

მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ: ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის" მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის შეფერხების ალბათობას. პროგრამას დანართად ახლავს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორრმაცია. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, "ენერგომენეჯმენტი"პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელი) და დამხმარე პერსონალის შერჩევის, შესაბამის პოზიციაზე დანიშვნის, პროფესიული განვითარების საკითხებს, ასევე პოლიტიკით განსაზღვრულია მოწვეული პერსონალის (მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის) საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის "ენერგომენეჯმენტი" (მეხუთე დონე) დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს;
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამისად უნივერსიტეტი თავის მხრივ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პერიოდულ გადამზადებას სწავლება სწავლის მეთოდების, პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და სხვა რელევანტური მიმართულებებით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში. აღნიშნული გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის შენარჩუნებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის "ენერგომენეჯმენტი" განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის თანახელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ორივე პოზიციის სამუშაო აღწერილობები, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან გასაუბრებით, სამშაო აღწერილობებისა და პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ პოზიციები არ ფარავს ერთმანეთის ფუნქციებს - პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ხოლო პროგრამის თანახელმძრვანელი ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, ორივე პირს უდასტურდება ფუნქცია-მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის "ენერგომენეჯმენტი" (მეხუთე დონე) მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ჩაწერილი მკითხველისათვის, მისთვის მინიჭებული ელექტრონული კოდის გამოყენებით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას.

ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ დოკუმენტის (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით) თანახმად, მუხლი 38-ში გაწერილია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დაგეგმვა“, სადაც წარმოდგენილია შშმ და სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის გაწერის მექანიზმები, უნივერსიტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობა, სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა, რესურსზე (მათ შორის, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბი და სხვა) წვდომა და სასწავლო რესურსების ადაპტირება.
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათთან აღნიშნულის საჭიროება არ დამდგარა და დაწესებულებას არ აქვს შესაბამისი პრაქტიკა თუმცა გამოხატავენ მზაობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში „ენერგომენეჯმენტის“ პროფესიულ პროგრამის 2025-2026 სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 24 პროფესიული სტუდენტი. შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სახელმწიფო ვაუჩერი(ერთ სტუდენტზე 5004 ლარი) და სტუდენტის სწავლის დამატებითი საფასური(500 ლარი), ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასები და სასწავლო პროცესის უწყვეტობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში “ენერგომენეჯმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით აუდიტორიების გამოყოფის შესახებ ბრძანება;
- ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში “ენერგომენეჯმენტი“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ენერგომენეჯმენტი“;
- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებლებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით
1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
GIPA-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების პროცესი მოიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დამსაქმებლების ჩართულობასა და ასევე საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლას და მიღებული შედეგები აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში.
ამასთან, აღსანიშნავია, რომ USAID-ს პროგრამის "დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" ფინანსური მხარდაჭერითა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილი ენერგეტიკის დარგობრივი ორგანიზაციის ჩართულობით, GIPA-ს მიერ მომზადდა ენერგეტიკის სექტორული რუკა, რაც საფუძვლად დაედო "ენერგომენეჯმენტი" პროგრამის შემუშავების პროცესს. დარგის ექსპერტების ჩართულობით მოხდა მიმდინარე საგანმანათლებლო ლანდშაფტის ანალიზი, განისაზღვრა სფეროები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას და ახალი მიდგომების დანერგვას, რომელიც ენერგოეფექტური პრაქტიკების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს მომავალში. პროგრამის დიზაინი ითვალისწინებს თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებსა და ციფრული ხელსაწყოების გამოყენებას სასწავლო პროცესში. პროგრამაში ინტეგრირებულია რეალურ სივრცეში გამოყენებადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნოლოგიები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი და პროფესიული, დარგობრივი სასწავლო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო გამოცდილების გაუმჯობესებასა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო კულტურის ნაწილია და მასში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული და დაინტერესებული პირი. ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის, ადამიანური რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული სხვადასხვა სერვისის პერიოდულ შეფასებასა და განვითარებას. ზემოაღნიშნულის შეფასება ეყრდნობა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით განსაზღვრულ წესებს, - „თავი VIII სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები".

სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმე (P), განახორციელე (D), შეამოწმე (C), განავითარე (A). პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება შემდეგი ეტაპებით: მონაცემებზე და უკუკავშირზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიღება; ცვლილებების მიზანშეწონილობის განხილვა პროგრამის ხელმძღვანელის, განმახორციელებელი პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება.

პროგრამის განვითარება ეფუძნება ცვალებად გარემოზე მორგებას, ხარისხის მაღალი სტანდარტების დაცვას და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას პროფესიული განათლების სისტემაში. პროფესიული განათლების მასწავლებლის მუშაობის ეფექტიანობა, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები.

პროგრამის ცვლილებები განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- პრაქტიკის ობიექტების დამატება, რაც უზრუნველყოფს მოდულების უკეთეს განხორციელებას და სასწავლო შედეგების მიღწევას;
- ახალი პროფესიული მასწავლებლების დამატება, რაც ხელს უწყობს პროგრამის პრაქტიკული გამოცდილების გაძლიერებას და ხარისხის კიდევ უფრო მაღალ დონეზე უზრუნველყოფას;

აღნიშნული ცვლილებები დადებითად აისახება პროგრამის განვითარების პროცესში და ხელს უწყობს მისი შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნები და დამსაქმებელთა კმაყოფილების ანალიზი – 2025 წელი;
- ანალოგიური პროგრამების ანალიზი – 2025 წელი;
- პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების კვლევა – 2025 წელი;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების ანგარიში – 2025 წელი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასების ანალიზი – 2025 წელი.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **"ენერგომენეჯმენტი"** სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კალენდარული გეგმების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ კალენდარულ გეგმებში ზუსტად არის ასახული მოდულებში განსაზღვრული თემატიკა, რაც მიუთითებს პროგრამის შინაარსობრივ შესაბამისობაზე. ამასთან, კალენდარული გეგმა, თავისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, სასურველია მოიცავდეს უფრო დეტალურ ინფორმაციას, კერძოდ: კონკრეტულ სწავლის შედეგთან დაკავშირებულ სასწავლო აქტივობებს; თითოეული საკონტაქტო საათის დეტალურ აღწერას;

აღსანიშნავია, რომ კალენდარული გეგმები არ უნდა წარმოადგენდეს მოდულის ჩანაწერების პირდაპირ ასლს. თემატიკა სასურველია გაფართოვდეს და მოიცავდეს განსხვავებულ, სტუდენტზე ორიენტირებულ აქტივობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების აქტიურ ჩართულობასა და სასწავლო შედეგების მიღწევას. მნიშვნელოვანია, კალენდარულ გეგმებში გამოკვეთილად ჩანდეს პროფესიული სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაო, როგორც სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში ისინი იყენებენ უფრო მრავალფეროვან სწავლების აქტივობებს, ვიდრე ეს ფორმალურად არის ასახული კალენდარულ გეგმებში. ამასთან, დამოუკიდებელი საათების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული დავალებები, მოსამზადებელი სემინარები და დამატებითი აქტივობები, რაც ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის ზრდასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის რეალური განხორციელება შინაარსობრივად აღემატება დოკუმენტურად აღწერილ ნაწილს, თუმცა სასურველია ეს მრავალფეროვანი აქტივობები სრულად აისახოს კალენდარულ გეგმებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის გამჭვირვალობა და შესაბამისობა დოკუმენტურ მოთხოვნებთან.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა განვითარების რეკომენდაცია

პროფესიული განათლების დეპარტამენტმა შეიმუშაოს კალენდარული გეგმების შედგენის მეთოდოლოგიური მითითებები პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას, ერთობლივ სტანდარტიზაციას და ხარისხის გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესი ხორციელდება ცვლებში. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ჯგუფების განაწილების დროს ხდება სტუდენტთა საჭიროებების მოკვლევა და შესაბამისი სასწავლო ცვლის შეთავაზება.

გარდა ამისა სტუდენტებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მათ უწევს შესაბამის მხარდაჭერას და გადაცემს სწავლისთვის საჭირო ტექნიკურ მოწყობილობებს დროებით სარგებლობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე გარემოში შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, კეთება ინსტრუქტაჟით. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე მოწყობილობები, აპარატურა და ინვენტარი რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც წარმოიქმნა სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან:

- შპს "ოპტიმალ გრუპი +" – 24 პროფესიული სტუდენტი;
- შპს "ექსპერტს ფორ სოლუშენს" – 24 პროფესიული სტუდენტი;
- შპს "სიბიდი დეველოპმენტი" – 24 პროფესიული სტუდენტი;
- შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი" 24 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს "ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი" – 24 პროფესიული სტუდენტი;
- სს "კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია"– 24 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „წინანდლის ძველი მარანი" – 32 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „აჩინებული" – 32 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ბლაუენშტაინ საქართველო"– 32 პროფესიული სტუდენტი;

პრაქტიკის ხელშეკრულებებში დეტალურად არის გაწერილი ხელშეკრულების საგანი, მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობები, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხები და ა.შ.

კომპანიის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მემორანდუმში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.
თანამშრომლობის ხანგძლივობა შეადგენს არანაკლებ 5 წელს. თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და კერძო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ერთის მხრივ უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარჩვევების განვითარების და მეორე მხრივ ორგანიზაციაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლეთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები, რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან დადასტურდა, რომ ისინი შეუფერხებლად ახორციელებენ აღნიშნული პროგრამის შესაბამის მოდულებს, განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა და უზუსტობა არ გამოვლენილა.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
მეტი დარგობრივი სეგმენტების დაფარვის მიზნით, სასურველია გაიზარდოს პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა: სამედიცინო, სოფლის მეურნეობის (მეფრინველეობა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები და სხვა), ტრანსპორტი (სახმელეთო, საზღვაო, სავიაციო და სარკინიგზო), ლოგისტიკური ცენტრები და სხვა, რამდენადაც, ამ სექტორებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიიდან კლიმატის ცვლილების გამომწვევი სითბური გაზების ემისიების შემცირებაში და/ან კლიმატის ცვლილებასთან იმ სექტორების ადაპტაციაში, რომლებიც ყველაზე მოწყვლადები არიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ენერგომენეჯმენტი" მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ მოითხოვს განსაკუთრებული ან სპეციფიკური უსაფრთხოების პირობების შექმნას ან დაცვას. პროგრამის განხორციელება ექვემდებარება დაწესებულებაში მოქმედ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესებს, მათ შორის: ელექტროუსაფრთხოების, ეკრანიან მოწყობილობებთან მუშაობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისა და პირველადი დახმარების წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც შეეხება პროგრამის მოდულებში ინტეგრირებულ პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, შესაბამის ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ვალდებულება, რომლის მიხედვითაც პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პრაქტიკის განხორციელების ადგილზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის „ენერგომენეჯმენტი“ სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს განსაზღვრავს მოდულის განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი და ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული სწავლების კოორდინატორთან. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გონივრულ ვადაში მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მოდულის მასწავლებელთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება პროფესიულ სტუდენტს აქვს ერთხელ. დოკუმენტით ასევე გაწერილია შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.
პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს
„უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“ მოიცავს ვერიფიკაციასთან დაკავშირებულ მიდგომებს და წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: ა) ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; ბ) პროცესის ვერიფიკაცია; გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს დაწესებულებაში რექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ჯგუფის თავმჯდომარე და ჯგუფის წევრები. პროფესიული სწავლების ხარისხის მენეჯერი განსაზღვრავს სტუდენტთა შეფასების სისტემის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ვერიფიკაციის პერიოდს (არანაკლებ წელიწადში ერთხელ). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის გზით დადგენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი წერილობით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულის განმახორციელებელ მასწავლებლს შემდგომი რეაგირების მიზნით. დაწესებულებაში შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმი ითვალისწინებს ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში პროცესზე და განხორციელებაზე პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხს, ასევე ვერიფიკაციის დასკვნის მომზადებას. დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 და 2025 წელს ჩატარებული ვერიფიკაციის შედეგები, ვერიფიკაცია განხორციელდა სამი მიმართულებით: შეფასების ინსტუმენტის, პროცესის და მტკიცებულების ვერიფიკაცია. დოკუმენტების ანალიზით დასტურდება რომ შეფასების მტკიცებულებები შეირჩა დაწესებულების მიერ შემუშავებული რისკების სქემის შესაბამისად, მაგ. დამწყები მასწავლებელი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე და სხვა. ვერიფიკაციის ანგარიშებში ასახულია რომ ძირითადად რეკომენდაციები ეხება შეფასების ინსტრუმენტების რიგი კომპონენტების ჩანაწერების დაზუსტებას. ვერიფიკაციის შედეგებით შეფასების სისტემა შეფასებულია როგორც ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ 103 მუხლის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგების გაფორმება ხორციელდება უწყისით, უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზაში (PORTAL.GIPA.GE), რომელიც დეტალურ ინფორმაციას ინახავს როგორც შეფასებასთან, ასევე მთლიანად სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მტკიცებულებების დაცვასა და შენახვას სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. უწყისები ინახება უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში მუდმივად. ინფორმაციის მიღება შეუძლიათ როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ასევე პერსონალს, ვისაც აქვს წვდომა საკუთარ მონაცემებზე.
ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ მიხედვით დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.
განმავითარებელი შეფასების შედეგების შეჯამების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მისი მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ. შუალედური შეფასება კი წარმოადგენს ჰოლისტურ შეფასებას, რადგან იგი ეფუძნება პროფესიული სტუდენტის საერთო აკადემიური და პრაქტიკული პროგრესის მთლიან სურათს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებების/დადასტურებების მონიტორინგი ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში. დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ვერიფიკაციის შედეგები;
- შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	
პროფესიული განათლების დონე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	
პროგრამის განხორციელების ენა	
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის,	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. შენობა-ნაგებობის ინსპექტირების ანგარიში.

15.01.2026წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: